CIAN MAGENTA YALLOW BLACK

# ალია

„ვითიბი აზერბაიჯანმა“ კლიენტებს შეღავათები დაუწესა — რას აპირებს აქაური „ვითიბი“?

VTB

8

N15/3331/ 4 თებერვალი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

## ვინ აიძულა მთავრობის წევრებს პარლამენტში მისვლა?

რატომ იყო ღარიბაშვილი აგრესიული პრეზიდენტის მიმართ და რატომ დაესწრო მის გამოსვლას კვირიკაშვილი, როცა ორივე ფიგურის უკან იდგა და დგას ბიძინა ივანიშვილი?



3

## ბიძინა ივანიშვილი აღშფოთებული ყოფილა...



რა უთხრა მილიარდერმა ღარიბაშვილს ერთსქესიანთა ქორწინების საწინააღმდეგო განცხადებაზე?



11

## რას უპირებს თბილისის მერია ტაქსებს?

როდიდან უნდა დაიწყოს რეგისტრაცია და რა პროცედურები იქნება ამისთვის საჭირო?



10

რა ხდება „მაესტროს“ კულუარებში?

მაესტრო

2

რა ილაპარაკა პრეზიდენტმა და რისი გაკეთება შეუძლია კონსტიტუციის მიხედვით



5

მოსამართლეების ულტიმატუმი პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს

რას აპირებენ ადვოკატები და არასამთავრობოები?



9

რა დამსახურებისთვის გაუფორმა მერიამ უგულავასდროინდელ ჩინოვნიკს 2 მილიონ 162 ათასიანი კონტრაქტი?



7

„მაცაცო“ პოლიტიკოსებს ემუქრება: „პატივცემულო დეპუტატებო, გავიწყდებათ თქვენი სექსთავგადასავლები?!“



10

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...

როდის ლანძღავდა გიორგი მარგველაშვილი ქართველ ხალხს და რატომ არ გაახსენდა ეს ამბავი გოგი თოფაძეს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას



6

„ჯეოსელის“ მომხმარებელთა ნაწილს საუბარი 5-ჯერ გაუძვირდება

ჯეოსელი Geocell

6

ნასვამმა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა სამსახურებრივი მანქანა დაამტვრია




7

არაო, კაცო, პოლიტიკაში არ მოვდივარო, ბურჭულაძეს რომ ჰკითხო!..



4

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ჯიპი გავაჩერე და პრემიერი შემრჩა ხელში... რა სხვაო, გადმოხტა მანქანიდან“ — რა მოხდა ზედაზენზე

„ფეისბუკ“-მომხმარებელი გოდე კილაძე სოციალურ ქსელში პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს მადლობას უხდის:

– ბატონო გიორგი, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ დღეს დილით ზედაზნის მონასტრისკენ მიმავალ გზაზე გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

თქვენ დღეს თქვენი მოქალაქეობრივი ვალდებულების არაჩვეულებრივი შესრულებით დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენი ქვეყანა, თქვენი სახით, მართლაც რომ გულისხმიერი და მზრუნველი ადამიანის ხელშია.

პატივისცემით თქვენი მადლიერი თანამემამულენი, – წერს კილაძე.

როგორც კომენტარებიდან ირკვევა, მინისტრი თოვლში ჩარჩენილ ახალგაზრდებს დაეხმარა.

– თოვლში ჩავრჩი, ზედაზენზე. საკმაოდ დიდი თოვლი იყო. რომ მივხვდი, რომ ვერ ავიდოდი, უკან დავიხიე და დავსრიალდი. ჩაჯდა არხში მანქანა,... დახმარება ვითხოვე. ჯიპი მოდიოდა, გავაჩერე და პრემიერ-მინისტრი შემრჩა ხელში. გადმოხტა მანქანიდან, საბუქსირე არ გვქონდა, ვერ ამოვიყვანეთ. ვინც ახლდა, იმან, – კაროჩე, სხვა ვინმე გამოივლის, ბუქსირი ვისაც ექნება და ამოგიყვანსო. პრემიერმა, – რა სხვაო. გადახტა, რომელი ბორბალიც გვქონდა ჩაფლული იმ მხარეს ტალახში, ამოიყენა გვერდზე ვინც ახლდა და მომაწვნენ და ამომიყვანეს. სულ დავუსვარე ტანსაცმელი, ტალახი მიეყარა, ბოდიშები და მადლობები გადავუხადე. თან უხერხულად ვიგრძენით თავი, რომ დაისვარნენ. თუმცა ამავდროულად, გვეამაყებოდა, რომ ჩვენ ვიყავით ქართველები და საქართველოს პირველმა პირმა, როგორც რიგითმა მოქალაქემ, გამოგვიწოდა დახმარების ხელი, – წერს კილაძე. (ნიუპოსტი)

## SOS! მსოფლიოში საგანგებო მდგომარეობაა



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ზიკას ვირუსთან დაკავშირებით, საერთაშორისო დონეზე, საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დირექტორის თქმით, კოღოების მიერ გადამტანი ვირუსის დასამარცხებლად და ვაქცინის შესაქმნელად კოორდინირებული საერთაშორისო მუშაობაა საჭირო.

ზიკას ვირუსის კიდევ ერთი შემთხვევა დაფიქსირდა შეერთებული შტატების ტერიტორიაზეც.

როგორც ცნობილია, ვირუსი კოღოების მიერ ვრცელდება. ვირუსი აფრიკიდან და აზიიდან სამხრეთ ამერიკაში 2015 წელს შევიდა და სწრაფად გავრცელდა. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა კოლუმბიასა და ბრაზილიაში.

ვირუსით დაავადებული ახალშობილები მიკროცეფალიით (თავის არაპროპორციულად პატარა ზომა) იბადებიან. (ნიუპოსტი)

## რა ხდება „მაესტროს“ კულუარებში?



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61


მაკა ასათიანი და გია გაჩეჩილაძე („უცნობი“) ტელეკომპანია „მაესტროს“ წილების გამო ერთმანეთს ხელახლა დაუპირისპირდნენ. მას შემდეგ, რაც ძმებმა გაჩეჩილაძეებმა „მაესტროს“ წილის 30 პროცენტი 55-მდე გაზარდეს, ეს პროცესი მათი ოჯახის ნათესავმა, 25-პროცენტიანი წილის მფლობელმა, მაკა ასათიანმა საეჭვოდ მიიჩნია. შეგახსენებთ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული დოკუმენტების მიხედვით, ლევან ჩიკვაიძემ და გიორგი ებრალიძემ, რომლებიც შპს „სტუდია მაესტროს“ წილის 15-15%-ს ფლობდნენ, ლევან გაჩეჩილაძეს მიჰყიდეს. ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებს შორის 2016 წლის 21 იანვარს გაფორმდა. თანხა, რომლის რაოდენობასაც არ ახმაურებენ, გადახდილია.

უკვე ისიც არის ცნობილი, რომ გაჩეჩილაძეებს ამ ეტაპამდე საქმეების მოგვარებაში ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წარმომადგენელი ირაკლი რუხაძე დაეხმარა და მთავარი ინვესტორიც გახდა. ირაკლი რუხაძე კომპანია „სალფორდ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი და ბადრი პატარკაციშვილის ბიზნესპარტნიორი გახლდათ. ის ამერიკის მოქალაქეა და ცოტა ხნის წინ, ვლადიმერ გურგენიძისგან „ლიბერთი ბანკის“ აქციებიც იყიდა.

რუხაძე ასევე დაახლოებულია ირაკლი ალასანიასთან და 2010 წელს საარჩევნო კამპანიასაც უფინანსებდა. ალბათ, გახსოვთ, ალასანია თბილისის მერობაზე ოცნებობდა და გიგი უგულავას დამარცხებას აპირებდა, მაგრამ ჩაფლავდა. კულუარული ინფორმაციის თანახმად, არ არის გამორიცხული, რუხაძემ ფსონი კიდევ ერთხელ დადოს ალასანიაზე 2016 წლის არჩევნებზე, მაგრამ აქ კითხვა ისმის, თუკი ტელევიზიაში მილიონებს იხდის, რაში აწყობს რუხაძეს ალასანიას გამო დე-ფაქტო მმართველ ივანიშვილთან დაპირისპირება? ზოგიერთი აცხადებს, რომ სულ მალე ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდება პიროვნება დიდი ფულით, რომელიც ივანიშვილის დაამარცხებას და ძალაუფლების გადაბარებას შეეცდება. ვინ შეიძლება იყოს ეს პიროვნება? თითქოს მინიშნებით რუხაძეზე იყო საუბარი, მაგრამ ის არ გახლავთ იმ ბეგრაუნდის მქონე ფიგურა, რომ ბიძინა ივანიშვილს გაუწიოს კონკურენცია და მეორეც – გაჩეჩილაძეები, რომლებსაც რუხაძემ აქციების შესაძენი ფული მისცა და წესით თანამოაზრეებიც უნდა იყვნენ, არასოდეს წავლენ მილიარდერის წინააღმდეგ.

როგორც კი „მაესტროსთან“ დაკავშირებით სკანდალი დაიწყო, ჩვენ მაშინვე ვწერდით, რომ ეს ამბავი გაჩეჩილაძეების სასარგებლოდ დამთავრდებოდა და ასეც ხდება. ახლა რამდენიც არ უნდა იბრძოლოს მაკა ასათიანმა, საეჭვოა, რამე გააწყოს. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას“:

„ბაია ძალიან ახლო მეგობარი იყო გია გაჩეჩილაძის, როცა ის „საკანში“ იჯდა, მაშინ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ახლა გადაბაძე აღმოჩნდა მაკა ასათიანის მხარეს. პრინციპში, ადამიანს რაღა უნდა გაგიკვირდეს, თავად ასათიანიც ხომ გაჩეჩილაძეების ახლო ნათესავია და მეგობრობდნენ კიდეც? ბოლოს და ბოლოს, მაკა ასათიანი საიდან მოვიდა „მაესტროში“? ადრე პრობლემები რომ შეიქმნა, გაჩეჩილაძეებმა შინაურს სთხოვეს დახმარება და ამ მიზნით ჩართეს. გოგელიას „მაესტრო“ ისე აინტერესებს, როგორც შენ ჩინეთის რომელიმე პროვინცია, მთავარი აქ ფულია. ახლა ასათიანი თურმე გია გაჩეჩილაძის გარიცხვასაც აპირებს, მაგრამ ვინ დაუჭერს მხარს? დღეს ლაპარაკობენ, „გრეჩიხები“ პატარკაციშვილებთან ერთად პოლიტიკაში შემოვლენ და ბიძინას დაუპირისპირდებიანო, არ დაიჯეროთ: მაგალითად, გოგა ხაინდრავა, ფაქტობრივად, არის პატარკაციშვილების ოჯახის წევრი, იგივე გოგა ყველაზე მეტად არის ასევე დაახლოებული ბიძინა ივანიშვილთან. გაჩეჩილაძეები ახალ პარტიას იმ შემთხვევაში შექმნიან, თუ ისინი ივანიშვილთან შეთანხმდებიან. მართალია, მილიარდერს მთლად არ გადაუხარშავს ძველი წყენა, რაც გაჩეჩილაძეების ერთ-ერთ ნათესავს უკავშირდებოდა, მაგრამ გია ძალიან უყვარს. რა წყენაც არ უნდა მოხდეს, ძმები ბიძინას მაინც არ დაუპირისპირდებიან. თუ საჭიროება მოითხოვს, პარტია შეიქმნება, მაგრამ ლოიალური იქნება „ქართული ოცნების“ მიმართ, პოლიტიკური დაპირისპირება გამორიცხულია“.









კონკრეტულად რას და რამდენს ითხოვენ გოგელია და ასათიანი გაჩეჩილაძეებისგან? როგორც „მაესტროს“ ყოფილი დირექტორი, ბაია გადაბაძე ამტკიცებს, 2015 წლის ბოლოს მათ მოუწვევიათ მსოფლიოში სახელგანთქმული აუდიტორული კომპანია (დაუკვირდით, გაკოტრებულ ტელევიზიაში იწვევენ მსოფლიო დონის კომპანიას), რომელმაც დადო ასეთი დასკვნა: მაკა ასათიანის მიმართ ვალი არის 10 მილიონ 417 ათას 707 დოლარი და 760 ათას 282 ევრო. შპს „მაესტროს“ მარტო მაკა ასათიანის მიმართ არ გააჩნია დავალიანება. 2015 წლის 14 დეკემბერს ჩვენ სასამართლოში წარვადგინეთ დოკუმენტები და ეს თანხა არის დაახლოებით 54 მილიონი ლარი. ამ თანხაში შედის როგორც მაკა ასათიანის მიმართ დავალიანება, ისე „თურქსატის“, „აზერ კოსმოსის“, „როიტერის“, სხვადასხვა პროდაქშენების, სერიალების მწარმოებლების, ანძის და ყველაფერი იმისი, რაც ტელევიზიის მაუწყებლობისთვის არის საჭირო, ასევე, სხვა კრედიტორების. ეს არის ძირი თანხა და ამ ყველაფერს ემატება საურავები და პროცენტები. ასევე, შპს სტუდია „მაესტროს“ აქვს დავალიანება ბიუჯეტის მიმართ. რაც შეეხება სარედაქციო დამოუკიდებლობის საკითხს, გადაბაძის თქმით, საფრთხეები არსებობს არა გია გაჩეჩილაძის, არამედ ირაკლი რუხაძის მხრიდან, რომელიც უკვე მართავს ერთ ტელეკომპანიას – „იმედს“ ჩრდილიდან და იხდის ფულს“.

„მაესტროს“ მფლობელები 4 თებერვალს 12 საათზე იკრიბებიან, რათა განიხილონ მაკა ასათიანის წინადადება გია გაჩეჩილაძის გარიცხვის თაობაზე. ეს უნდა მოხდეს ხმათა უმრავლესობით, ანუ სამიდან ორმა უნდა დაუჭიროს მხარი. რამდენად მოახერხებენ ამის გაკეთებას „ნათესავები“, ამას ვნახავთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქვეყანას პატრონი არ ჰყავს... თავისუფალი ვერ იქნება ქვეყანა, რომელსაც ერთი ადამიანის ახირება მართავს - გოკა გაბაშვილი პრეზიდენტს პასუხობს



ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე გიორგი გაბაშვილის განცხადებით, დღეს ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, მას მართავს პირი, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს პატრონობს.

– დარწმუნებული ვარ, საქართველოს პრეზიდენტს არ ჰქონია განზრახვა ცინიკური ყოფილიყო, მაგრამ ზოგჯერ არა მხოლოდ სიტყვებია ცინიკური, არამედ ვითარება. ბატონმა პრეზიდენტმა არისტოტელეთი დაიწყო და ბრძანა, რომ თავისუფალია ქვეყანა, სადაც კანონი ბატონობს და არა ინდივიდები, არისტოტელემ თქვა, რომ თავისუფალია ქვეყანა, სადაც კანონი ბატონობს და არა მოქალაქეები და ეს ფორმულირება სწორედაც რომ უხდება დღევანდელობას, რადგან ამ ქვეყანას დღეს არაუფლებამოსილი პირი - ივანიშვილი მართავს თავისი პირადი მთავრობით. შესაბამისად, ყველაფერი დანარჩენი, რაზეც პრეზიდენტმა ისაუბრა, გამორიცხავს იმ მთავარს, რაც თავშივე ნათქვამი იყო - რომ თავისუფალი ვერ იქნება ქვეყანა, რომელსაც ერთი ადამიანის ახირება მართავს.

ზუსტად იმ დროს, როცა პრეზიდნეტი თავის სიტყვას წარმოთქვამდა, ციხისძირში ასწლოვან ხეებს ბულდორზერებით გლეჯდნენ და ივანიშვილის ეზოში გადაჰქონდათ, რადგან მას ძალიან უყვარს გიგანტური ხეები. ესაა რეალური ვითარება, რომლის ფონზეც თავისუფლების დახვეწა ცინიზმია.

პრეზიდენტი ამბობს, რომ მთავრობის ეკონომიკურ ხედვას ეთანხმება. სინამდვილეში მთავრობას არანაირი ხედვა არ აქვს. ნეპოტიზმით გაბერილია ხარჯები, უამრავი თანხა იხარჯება გაზრდილ ბიუროკრატიაზე. ასეთივე პრობლემაა რეგულაციები, რომელიც ეკონონიკას ამუხრუჭებს და სამწუხაროდ, პრეზიდენტს ამისთვის ვეტო არ დაუდია, - განაცხადა გოკა გაბაშვილმა. (ნიუპოსტი)

## „გაიტანეთ ეს ადამიანი პოლიტიკური სივრციდან და პარლამენტიდან!!!“

გოგი თოფაძის მიერ დაუნის სინდრომის სალანძღავ კონტექსტში გამოყენება საზოგადოებისა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან კრიტიკის საგანი გახდა. მათი განცხადებით, კანონმდებელი, რომელიც სხვა ადამიანებს უნდა იცავდეს დისკრიმინაციისგან, დაუნის სინდრომის სახელწოდების დამაკნინებელ კონტექსტში გამოყენებით შეურაცხყოფს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანთა ღირსებას და აძლიერებს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა მიმართ არსებულ სტიგმას. აღნიშნულ ფაქტს საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებიც გამოეხმაურნენ და გოგი თოფაძეს ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს:

**ეკა ხოფერია:** „ღმერთო, გაიტანეთ ეს ადამიანი პოლიტიკური სივრციდან და პარლამენტიდან!!!“

**ნანუკა ჟორჟოლიანი:** „სიტყვა დაუნისთვის ბოდიშს სანამ საჯაროდ არ მოვახდევინებთ გოგი თოფაძეს, მანამდე არაფერი გვეშველება! მოიხადოს ბოდიში!“ (ნიუპოსტი)

**გოგი თოფაძემ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირი დამატებითი კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებო!..**

## ენერგეტიკაში კორუფციაა, პროექტს ვერ დაიწყებ ივანიშვილთან თუ არ გაქვს შეთანხმებული — ვაშაძე

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ვაშაძის თქმით, საქართველოს მთავარი პრობლემა არის ის, რომ ქვეყანამ განვითარება შეწყვიტა.

– არაფერი არ კეთდება და არ ვითარდება. პრობლემა შეიძლება სამ ნაწილად გავყოთ: პირველი ეს არის ის, რომ საქართველოში არის არაფორმალური მმართველობა ბიძინა ივანიშვილის სახით, ეს დემოკრატიული საზოგადოებისთვის ნონსენსი და კატასტროფაა. მეორე – ეს არის კორუფცია, ენერგეტიკაში. ინვესტიცია იმიტომ არ შემოდის, რომ ამ სექტორში განუზომელი კორუფციაა. ვერც ერთ მსხვილ პროექტს ვერ დაიწყებ, თუ არ გაქვს შეთანხმებული ბიძინა ივანიშვილთან და კალაძესთან. ივანიშვილმა და მის ირგვლივ მყოფმა პირებმა სერიოზული ფულის კეთება დაიწყეს, მას არ უნდა ახალი ბიზნესის შემოსვლა რომ რაიმე კონკურენცია არ არსებობდეს.

მესამე მნიშვნელოვანი პრობლემა არის ის, რომ საქართველომ შეწყვიტა რეფორმები. ახალი არაფერი არ შექმნილა, სამარცხვინოა, როცა ქვეყანა არის კრიზისში, ქვეყანას ახალი პრემიერი ჰყავს და რიგგარეშეც კი არ იკრიბება პარლამენტი. დღეს საქართველომ შეაჩერა განვითარება და ადამიანებს ყოველდღე უფრო და უფრო უჭირთ, – განაცხადა გიორგი ვაშაძემ. (ნიუპოსტი)

## მელიქიშვილზე აფთიაქი დაყაჩაღეს



მელიქიშვილზე „პეესპეს“ აფთიაქი დააყაჩაღეს. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია და კრიმინალისტები.

თავდამსხმელების რაოდენობა უცნობია. ასევე, არ ვრცელდება ინფორმაცია გატაცებული თანხის ოდენობის შესახებ. (პირველი რადიო)

## ობამა ომისთვის ემზადება — აშშ პუტინის შესაჩერებლად ევროპაში მძიმე შეიარაღების გაზრდას აპირებს



– ბარაკ ობამა პუტინის შესაჩერებლად მძიმე შეიარაღებას ზრდის, – ამის შესახებ გამოცემა თჰე **New York Times** წერს.

როგორც გამოცემა ობამას ადმინისტრაციის წყაროზე დაყრდნობით წერს, აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ნატოს ქვეყნებში მძიმე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა სამხედრო აღჭურვილობას მნიშვნელოვნად გაზრდას აპირებს.

წყაროს თანახმად, თეთრი სახლი ევროპაში ამერიკული შეიარაღების განლაგების მიზნით რეკორდულ – 3,4 მილიარდი აშშ დოლარს დახარჯავს.

– გაზრდილი სამხედრო პოტენციალი, იარაღი და აღჭურვილობა აშშ-ისა და ნატოს ძალების მიერ იქნება გამოყენებული ევროპაში და ეს იქნება სიგნალი ვლადიმერ პუტინისთვის. ეს არის გრძელვადიანი რეაქცია ევროპაში უსაფრთხოების ცვლილებების ფონზე და ასახავს ახალ სიტუაციას, რომელშიც რუსეთი უფრო და უფრო რთულ როლს თამაშობს, – ნათქვამია სტატიაში.

გამოცემის თანახმად, პენტაგონის მაღალჩინოსნების ინფორმაციით, დამატებითი ძალები და სამხედრო აღჭურვილობა შესაძლოა, უნგრეთში, რუმინეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში გაიგზავნოს.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არა მხოლოდ რუსეთის შეკავებისკენ, არამედ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების ევროპაში შემოდინების წინააღმდეგ არის მიმართული. (ნიუპოსტი)

# ვინ აიძულა მთავრობის წევრებს პარლამენტში მისვლა?

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



საქართველოს პრეზიდენტი ამ შემადგენლობის პარლამენტის წინაშე უკანასკნელად წარდგა. პრეზიდენტმა ხელი არ ჩამოართვა იუბილარს, ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძეს, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. როგორც ნათქვამია, ეშმაკები დეტალებშია და ეს ის დეტალია, რომელიც ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიმართ პრეზიდენტის დამოკიდებულებას ხსნის.

„მრეწველთა“ ლიდერმა გოგი თოფაძემ პრეზიდენტს უსაყვედურა, თქვენ ქართველი ხალხი დაუნებს შეადარეთ, ძალიან სამწუხაროა, თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოსახლეობას, მაშინ, ალბათ, არც საქართველოს პრეზიდენტობა უნდა გეკადრათო. პრეზიდენტის რეაქცია იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მისი გაოგნებული სახე, ხოლო პრეზიდენტის აპარატის წარმომადგენლებმა ეს ამბავი იმდენად გაიკვირვეს, რომ ჩხენკელმა ჩაილაპარაკა, — თოფაძე მთვრალია!..

რატომ ვერ შეამჩნია ბიძინა ივანიშვილმა ფიქრია ჩიხრაძე, რომელიც დღეს პრეზიდენტ მარგველაშვილის მრჩეველია. ეგ ქალბატონი არის ძალიან ნიჭიერი, გაწონასწორებული და ჭკვიანი და პრეზიდენტმა ზუსტად ისეთი შეარჩია ჩიხრაძის სახით, რომელიც აბსოლუტურად აკმაყოფილებს ყველა პარამეტრს.

**— პარლამენტში დავინახეთ, ვინ არის პრეზიდენტის მომხრე კოალიციიდან და ვინ — არა. გოგი თოფაძემ მარგველაშვილს შეახსენა, რომ ის აირჩია ერთმა კაცმა, ასევე უსაყვედურა, რომ ქართველი ერი მარგველაშვილმა მოიხსენია დაუნად. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გოგი თოფაძისგან და „ქართული ოცნებისგან“ დაიცვა პრეზიდენტი, რასაც თოფაძე ლაპარაკობს, მარგველაშვილის შეურაცხყოფააო. თინა ხიდაშელი პრეზიდენტს სანიმუშო მთავარსარდალს უწოდებს, ასევე ალასანიას გუნდისთვის აღმოჩნდა პრეზიდენტის მოხსენება მისაღები და იდეურად ძალიან ახლობელი. ძალიან საინტერესო წრე იკვრება.**

მოიყარა თავი, პოლიტიკური მოლოდინები მის მიმართ ფაქტობრივად აღარ არსებობს, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი ნელ-ნელა ეცემა, მას რეიტინგი აღარ ემატება, თუ არ აკლდება, ბუნებრივია, რომ მისი რეიტინგი დაღმასვლას დაიწყებს, ამას ხელს შეუწყობს ეკონომიკურ-სოციალური კრიზისი და კიდევ ის ფაქტორი, რომ „მეოთხე ბრწყინვალე წელიწადის“ მომლოდინე ხალხს იმედი გაუცრუა და მივიღეთ საპირისპირო. ამ ფონზე სადავო ხდება ივანიშვილის ყოველი ნაბიჯი, დაწყებული „თბილისი პანორამის“ პროექტით, დამთავრებული აჭარიდან ურეკში ხეების გადარგვით. პოლიტიკაში კი წმინდა ადგილი ცარიელი არასოდეს არ რჩება, ამ ადგილს ყოველთვის პატრონი გამოუჩნდება და არ გამოვრიცხავ პრეზიდენტი მარგველაშვილი აღმოჩნდეს პოლიტიკურ გუნდთან ერთად ამ ადგილზე, სადაც ვიხილავთ „რესპუბლიკელებს“, „თავისუფალ დემოკრატებს“ და შესაძლოა, სხვა პარტიებიც კი...

**— მოდით, გავიაროთ პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვანი**

სწორედ მარგველაშვილი. პოლიტიკაში არ არსებობენ ვუნდერკინდები, პოლიტიკას სჭირდება სხვა ინტელექტი, სხვა თვისებები, რაც აქვს მარგველაშვილს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – რაც დღეს არ ჩანს, ხვალ აუცილებლად გამოჩნდება. ეს არის ის, რომ მარგველაშვილი იქნება ამერიკელების კრეატურა. მარგველაშვილი დღევანდელი მსმენელებისთვის კი არ ლაპარაკობდა, არამედ ორი წლის შემდეგ მსმენელებისთვის, ვინაიდან მისი გამოსვლა ამ შემადგენლობის პარლამენტისთვის იყო ბოლო, ის ლაპარაკობდა იმ აუდიტორიისთვის, რომელიც იმ პარლამენტში აღმოჩნდება მომავალ წელს. პრეზიდენტმა თავის ყულაბაში დაიწყო აქტივების დაგროვება, რომელიც მას აუცილებლად მოუტანს დივიდენდებს.

**— როგორ ამოხსნით ამოცანას, რატომ იყო ღარიბაშვილი აგრესიული პრეზიდენტის მიმართ, რატომ არ ესწრებოდა მისი გუნდი მარგველაშვილის ყოველწლიურ ანგარიშს და ახალი პრემიერი კვირიკაშვილი რატომ ირჩევს სხვა სტრატეგიას**

**რატომ იყო ღარიბაშვილი აგრესიული პრეზიდენტის მიმართ და რატომ დაესწრო მის გამოსვლას კვირიკაშვილი, როცა ორივე ფიგურის უკან იდგა და დგას ბიძინა ივანიშვილი?**

**ფრაქციების გამოსვლებში გამოიკვეთა ერთი რამ, რომ ე.წ. ლიბერალები პრეზიდენტის მხარეს არიან, „ნაკომუნისტარები“ და გაურკვეველი პოლიტიკური მრწამსის მქონენი — პრეზიდენტის ოპოზიციაში.**

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე პრეზიდენტის გამოსვლას „ალიასთან“ ინტერვიუში ასე აფასებს:**

– პრეზიდენტი 3 თებერვალს წარდგა უფრო თავდაჯერებული, მკაცრი, მომთხოვნი, ვიდრე წინა წლებში, როცა თავი მთავრობისგან დაჩაგრულად მიაჩნდა. მარგველაშვილს ილუზიები არა აქვს, რომ „ოცნება“ წააგებს არჩევნებს, დარწმუნებულია, რომ არჩევნებს „ოცნება“ მოიგებს, ამავე დროს ის ემზადება უფრო დიდი პოლიტიკური თამაშისთვის. კვალიფიციური მრჩევლები ჰყავს, ისინი ზუსტ ანალიზს აძლევენ, თუ რა მოხდება. აქვე მინდა გითხრათ, რომ ქვეყანაში სიტუაცია უფრო და უფრო დაიძაბება, სოციალური სფერო, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკას, ვხედავთ, რომ ურთულეს მდგომარეობაშია. როგორც წესი, პოლიტიკა მისდევს ეკონომიკას და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. არ ჩანს იმის პროგნოზი, რომ ორ-სამ წელიწადში შეიძლება დაიძლიოს სიღატაკე და ეკონომიკური წინსვლა ჰქონდეს ქვეყანას. არავინ იცის, რა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იქნება და ადამიანმა, რომელმაც უკვე ნარკოტიკივით გაუსინჯა პოლიტიკას გემო, იქიდან ველარავინ ჩამოგიყვანს. ამიტომ დარწმუნებული იყავით, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი იბრძოლებს პოლიტიკაში დასარჩენად და თანაც დააკვირდით, ახალგაზრდა და ნიჭიერი გუნდი ჰყავს. თანაც დინამიკური და კარგი გაგებით – ამბიციური. მან მოახერხა, კარგი კადრების სელექცია გაეკეთებინა. ძალიან მიკვირს,

– დიახ, მართლაც საინტერესო წრე იკვრება, უკვე ღიად მიმდინარეობს გადაჯგუფება, იყო დრო, როცა პრეზიდენტის გარშემო პოლიტიკური წრე ვიწროვდებოდა, დღეს კი პირიქითაა. რაც შეეხება გოგი თოფაძეს, მან დაუშვა შეცდომა, დაუშვებელია პოლიტიკოსმა ისაუბროს ასეთი ტერმინოლოგიით. დიდ პოლიტიკაში ასე არ ხდება, იქ ყოველთვის ვიღაცა წარადგენს პრეზიდენტად და რა უნდა ქნას მერე პრეზიდენტმა, წარმდგენს მთელი ცხოვრება

**„ნახეთ, რა მოცემულობა გვაქვს, პაატა ბურჭულაძე გაფერმკრთალდა, მასთან ხელმოცარული ადამიანების გუნდმა მოიყარა თავი, პოლიტიკური მოლოდინები მის მიმართ ფაქტობრივად აღარ არსებობს, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი ნელ-ნელა ეცემა, მას რეიტინგი აღარ ემატება, თუ არ აკლდება, ბუნებრივია, რომ მისი რეიტინგი დაღმასვლას დაიწყებს, ამას ხელს შეუწყობს ეკონომიკურ-სოციალური კრიზისი და კიდევ ის ფაქტორი, რომ „მეოთხე ბრწყინვალე წელიწადის“ მომლოდინე ხალხს იმედი გაუცრუა და მივიღეთ საპირისპირო“**

მადლობა უხადოს და მის დაკრულზე იცეკვოს?!. ასე სახელმწიფო არ შენდება. პრეზიდენტის ფლანგზე უკვე არიან „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ნაციონალები“. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“ მინდა გითხრათ, რომ ეს პარტია არ არის, ჩვენ მათ პარტიას შეცდომით ვუწოდებთ. არც ერთი დეფინიციით „ქართული ოცნება“ პარტია არ გახლავთ, ეს არის ივანიშვილის პირადი გუნდი. რაც შეეხება „რესპუბლიკელების“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ორიენტირებას პრეზიდენტზე, მათ სჭირდებათ აღიარებული ლიდერი. შეიძლება პრეზიდენტს უფლებები შეუზღუდონ, ბევრი რამ წაართვან, მაგრამ მთავარსარდლის ტიტულს მას ვერ წაართმევენ. ნახეთ, რა მოცემულობა გვაქვს, პაატა ბურჭულაძე გაფერმკრთალდა, მასთან ხელმოცარული ადამიანების გუნდმა

**„მესიჯ-ბოქსები“: „სისტემურ დანაშაულს სჭირდება სისტემური პასუხი“, „თითოეული მოქალაქის პირადი ცხოვრება უნდა იყოს ხელშეუხებელი“, საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს საარჩევნო სისტემის რეფორმა, ამ საქმეს გადადება არ სჭირდება. თავისუფალი მედია უნდა იყოს ხელშეუხებელი, რადიკალურად დაპირისპირებული, პოლიტიკური პოლუსი უნდა შეიცვალოს მრავალფეროვანი პოლიტიკური პარტიებით. „გაზპრომი“ — ეს არ არის ეკონომიკა და პრეზიდენტი ვერ ხედავს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას, როცა მეზობელ ქვეყანას ჩვენი ტერიტორიების 20% აქვს ოკუპირებული და ჩვენ უფრო მეტად უნდა მივილტვოდეთ დასავლეთისკენ.**

– მე ვთვლი, რომ აბსოლუტურად სწორი აქცენტები აქვს გაკეთებული. პრეზიდენტი ამბობს, რომ უფრო მეტი ევროპული ფასეულობები უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმ დარბაზში, სადაც ამ სიტყვებს ამბობდა, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები ისხდნენ, ცეკას სამჭედლოში გამოზრდილი კადრები. როგორ უნდა დავუჯერო გოგი თოფაძესა და ზურაბ ტყემალაძეს, როცა დემოკრატიულ ფასეულობებზე დამიწყებენ ლაპარაკს. ყველა შემთხვევაში პრეზიდენტი მოგებულია. მარგველაშვილს შანსი აქვს, ორი წლის შემდეგ გახდეს დროის მოთხოვნილება, შესაძლოა, დრომ მოითხოვოს

**და რატომ ესწრება პრეზიდენტის გამოსვლას მაშინ, როცა ორივე ფიგურის უკან იდგა და დგას ბიძინა ივანიშვილი? ამოცანა გვეკითხება — რა ხდება? სად მარხია ძაღლის თავი?**

– რასაკვირველია, მარგველაშვილი უცებ არ შეყვარებია არც კვირიკაშვილს, არც მის მინისტრებს, არც ბესელიას და არც კობახიძეს, ეს არის ჩვენთვის ბარომეტრი, რამდენად გაუჭირდა „ოცნებას“ ღარიბაშვილის შემდეგ, ვისი იგნორირებაც „ოცნებას“ შეეძლო ღარიბაშვილის პრემიერობის დროს, ეს იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის და მისი ფიგურის, დღეს უკვე მათ პრეზიდენტის იგნორირების ფუფუნება აღარ აქვთ, მთავრობამ ამიტომაც აირჩია მეორე გზა. მოდით, შერიგების გზით წავიდეთ, ეგებ, პრეზიდენტი ამ ანკესზე წამოეგოს. რეალურად კი გაკეთდა დასავლეთიდან მითითება, რომ არ შეიძლება პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრიმინაცია და მოუწოდა მთავრობას, შეეწყვიტა კონფრონტაციის რეჟიმი. მთავრობამ თავის მხრივ იფიქრა, რომ დაჩაგრულ პოზიციაში ყოფნას ჯობია ახლოს გვყავდეს პრეზიდენტი, ამით ხალხის სიმპათიებიც დაბალანსდება, მაგრამ პრეზიდენტმა არ „ჭამა“. მოგეხსენებათ, რომ მარგველაშვილის არც მეგობარი ვარ და არც გულშემატკივარი, მაგრამ ობიექტურად ვაფასებ რეალობას. მარგველაშვილმა სწორი გათვლა გააკეთა, არ წამოეგო სატყუარაზე, რაც გუნდმა ჩაიფიქრა, რომ შეარბილებდა ტონალობას მარგველაშვილი, თუკი მთავრობა დაესწრებოდა მის გამოსვლას, მიიღეს ის, რასაც მისგან იმსახურებდნენ. მარგველაშვილი ძალიან კარგად იცნობს ბიძინა ივანიშვილს, ისიც კარგად იცის, რომ ასე ადვილად წყენას არ ივიწყებს, მარგველაშვილის უპირატესობა ისაა, რომ გაწონასწორებულად იქცევა და სწორ სვლებს აკეთებს.

## უკანასკნელი მონაცემებით, ე.წ. ღორის გრიპის ლაბორატორიულად დადასტურებული 245 შემთხვევა ფიქსირდება



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ თანამშრომლებთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

როგორც გამყრელიძემ განაცხადა, უკანასკნელი მონაცემებით, ლაბორატორიულად დადასტურებულია გრიპის 255 შემთხვევა, მათ შორის, 245 **H1N1**-ით, ხოლო 10 **H3N2**-ით არის გამოწვეული.

– მესამე კვირასთან შედარებით, გრიპით ავადობის ზრდის ტენდენციის შემცირება გვაქვს. თუ მეორე კვირიდან მესამე კვირაში 100 000 მოსახლეზე გვქონდა ნახტომისებური ზრდა, 90 ერთეულით, 248-დან 332-მდე, მეოთხე კვირაში 332-დან მხოლოდ 25 ერთეულით, 357-მდე გაიზარდა. ზრდის ტენდენცია შემცირებულია, იგივე ტენდენცია გვაქვს ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელში, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

საქართველოში მიმდინარე სეზონზე გრიპის ვირუსით მერვე ადამიანი გარდაიცვალა. ამირან გამყრელიძე ყველა მათგანს თანამდევ დაავადებასა და ექიმთან დაგვიანებით მისვლას უკავშირებს. (kvira.ge)

## აშშ ISIS-თან საბრძოლველად 7 მილიარდი დოლარის გამოყოფას აპირებს



ამერიკის შეერთებული შტატები „დაეშის“ („ისლამური სახელმწიფო“) წინააღმდეგ საბრძოლველად 7 მილიარდ დოლარზე მეტის გამოყოფას აპირებს. ამის შესახებ „როიტერი“ თეთრი სახლიდან წყაროზე დაყრდნობით იტყობინება. გამოცემის თანახმად, ადმინისტრაცია ამ წინადადებით კონგრესს 2017 წლის სამხედრო ბიუჯეტის პროექტის წარდგენისას მიმართავს. (ნიუპოსტი)

## ალექსანდრ ბასტრიკინი — სისხლის სამართლის სასამართლომ ყველაფერი თავდაყირა დააყენა



რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელის, ალექსანდრ ბასტრიკინის განცხადებით, ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლომ, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთში 2008 წლის მოვლენებს იძიებს, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მისი შეფასებით, გამოძიების მსვლელობისას, სასამართლომ თვალი დახუჭა ქართველი სამხედროების მიერ ოსი ხალხის წამებაზე.

„რასიისკაია გაზეტასთან" ინტერვიუში ბასტრიკინი აცხადებს, რომ ძალიან სურს, დარწმუნდეს სისხლის სამართლის სასამართლოს გამოძიების ობიექტურობაში, მაგრამ რიგი ფაქტების გამო ეს არ გამოსდის.

– ამ სასამართლოს მიერ გამოძიების საგნის სახით განსაზღვრულია სამხედრო დანაშაულები და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც, წინასწარი დასკვნებით, ჩაიდინეს არა საქართველოს შეიარაღებული ძალების, არამედ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ეთნიკური ქართველები წინააღმდეგ. ანუ გამოდის, რომ სასამართლომ საქმის მიმდინარეობა თავდაყირა დააყენა, – აღნიშნა ბასტრიკინმა.

მისი თქმით, სასამართლო ასეთ დასკვნამდე მივიდა მას შემდეგაც კი, რაც რუსეთმა მას გადასცა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართველი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების უტყუარი მტკიცებულებები. (ინტერპრესნიუსი)

## არაო, კაცო, პოლიტიკაში არ მოვდივარო, ბურჭულაძეს რომ ჰკითხო!..



– კიდევ 4 წელი ასე რომ გაგრძელდეს, როგორც ბოლო 4 წელი იყო, ველარასდროს დავდგებით ფეხზე, – ამის შესახებ „საქართველოს განვითარების ფონდის" დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ ტელეკომპანია „TV პირველის" ეთერში განაცხადა. ბურჭულაძე ამბობს, რომ ის ჯერ პოლიტიკაში არ მოსულა.

– პოლიტიკაში ჯერ არ შევსულვარ. არ ვიცი, ეს თუ საჭირო იქნება – ამას დრო გვანახებს. ჩამოყალიბდა „საქართველოს განვითარების ფონდი", რომლის ჩამოყალიბებაც, ჩემი აზრით, აუცილებელი იყო. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მან რაღაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგას. მთელი ცხოვრება ხალხისგან სიყვარულისა და ტაშის მეტი არაფერი მომისმენია. ალბათ, დადგა დრო, რომ გადავუხადო მადლობა ჩემს ხალხს და გადავდგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ძნელი გადასადგმელია და რომელიც ტაშსა და სიყვარულს გვერდით მადებინებს, რადგან რაღაც სხვა ვალდებულება მაქვს. არ შემიძლია, სხვანაირად მოვიქცე. დღეს, როცა ამდენ გაჭირვებულ ადამიანს ვუყურებ, როცა ვუყურებ ასეთ უიმედობას საქართველოში... მგონია, რომ კიდევ 4 წელი ასე რომ გაგრძელდეს, როგორც ბოლო 4 წელი იყო, აღარ მაქვს იმ 9 წელზე ლაპარაკი, ველარასდროს დავდგებით ფეხზე. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ძალიან დიდი შეხება მაქვს ხალხთან, ძალიან ბევრჯერ მომივლია საქართველო, – განაცხადა ბურჭულაძემ, რომლის შეფასებით, ყველა ახალ მთავრობას ხალხი იმედით ხვდება, დრო კი ისე გადის, რომ მათ საკეთილდღეოდ არაფერი იცვლება.

მისივე თქმით, ფონდს გვერდით უდგას პროფესიონალი, საქმის მცოდნე ხალხი ეკონომიკის, სამართლის დარგში და სხვა სფეროებში. პაატა ბურჭულაძის განცხადებით, „საქართველოს განვითარების ფონდი" 3 თვეში წარადგენს ქვეყნის განვითარების საკუთარ ხედვას, რომლის განხორციელებასაც მთავრობისგან მოითხოვს.

– ჩვენ ეს მთავრობას უნდა შევთავაზოთ – შევთავაზოთ კი არა, მოვითხოვოთ მთავრობისგან, რომ ეს უნდა გაკეთდეს. თუ შევატყვეთ, რომ ეს არ კეთდება და როგორც დღეს ვატყობ, დიდი შანსია, რომ არ გაკეთდება, იმიტომ, რომ იმიტომ... ამის მერე, ალბათ, სულ სხვა ნაბიჯებს გადავდგამთ და სხვა ინტერვიუს მოგცემთ, – აღნიშნა ბურჭულაძემ. *(ინტერპრესნიუსი)*

## რომში ერთსქესიანთა ქორწინების შესაძლო დაკანონებას აპროტესტებენ




რომში ერთსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაციის წინააღმდეგ აქცია გაიმართა, – აღნიშნულის შესახებ „ბიბისი" წერს.

მიმდინარე კვირის განმავლობაში, იტალიის პარლამენტმა შესაბამისი კანონმდებლობის განხილვა დაიწყო, რომლისთვისაც ხმის მიცემა თებერვალში უნდა მოხდეს.

იტალია ერთადერთი დიდი დასავლეთევროპული ქვეყანაა, სადაც კანონმდებლობა ერთსქესიანთა ქორწინებისა და კავშირის უფლებას არ იძლევა.

აქციის მონაწილეებს, ხელში ტრაფარეტები ეჭირათ, წარწერით – „ეს რომ კანონად იქცეს, სწორი მაინც არ იქნება". (ipress.ge)

## ათასობით გამწარებულ ადამიანს აღარ ეკითხებით, ქალბატონო მანანა, მიიღებენ თუ არა მონა მოსამართლეების ბოდიშს?!



– იყო ზეწოლები? იყო დაშინება? იყო ზეგავლენის მოხდენა პროკურორებისგან? რომელ საქმეებზე იყო? აღიარეთ და გაპატიებთ. ყველამ ერთად მოვიხადოთ საზოგადოების წინაშე ბოდიში. ვაღიაროთ, წინა ხელისუფლების პირობებში პროკურორების მხრიდან იყო ზეწოლები, – ასე მიმართა მოსამართლეებს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მანანა კობახიძემ მოსამართლეთა რიგით XVI კონფერენციაზე.

– მე არ მგონია, რომ რომელიმე მოსამართლე არის რეჟიმის მსხვერპლი, ვიდრე ისინი თავად არ აღიარებენ და არ იტყვიან, როგორი ზეწოლები იყო, ვისგან იყო, რა ფორმით იყო, რომელ საქმეებზე იყო.

ჩემო ძვირფასებო, მე ვარ თქვენი გულშემატკივარი. თუ თქვენ არ იტყვით, როგორი ფორმით ხდებოდა და ზუსტად ვიცით, რომ ხდებოდა, ვისგან ხდებოდა, რატომ იყავით იძულებულები, მიგეღოთ ასეთი გადაწყვეტილებები, როდესაც შინაგანად არ ეთანხმებოდით. თუ თქვენ ამას არ იტყვით, მე ვერ დაგარქმევთ მსხვერპლებს. მაშინ თქვენ ხართ იმ ყველაფრის თანამონაწილე, რაც ხდებოდა. მსხვერპლი მაშინ ხარ, თუ აღიარებ, რომ მსხვერპლი ხარ, რომ იყო ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი და თქვენ სხვა გზა არ გრჩებოდათ, გარდა იმისა, რომ ნოტარიუსის როლი შეგესრულებინათ.

თქვენ იცით, რომ ხალხი ირჩევს ხელისუფლებას, ხალხი არის ხელისუფლების წყარო, პარლამენტს ირჩევს ხალხი, მაგრამ სასამართლოს ხალხი არ ირჩევს. თქვენ არ ხართ ხალხის მიერ არჩეული. პარლამენტია ხალხის მიერ არჩეული და ნებისმიერ თქვენს ქმედებაზე ხელისუფლება ხდება პასუხისმგებელი. არ მოეწონა ხალხს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება? რა თქმა უნდა, ამაზე პასუხს ჩვენ, ხელისუფლებას, გვთხოვენ. მე, როგორც ერთ დეპუტატს, იუსტიციის საბჭოზე რაიმე გავლენის მოხდენა რომ შემძლებოდა, დამერწმუნეთ, ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად არ იქნებოდა მიღებული იმიტომ, რომ საზოგადოებას ნამდვილად სხვა განწყობა აქვს. კიდევ ერთხელ ვამბობ, საზოგადოების ნების საწინააღმდეგო იყო ის გადაწყვეტილება, რაც იყო მიღებული და ეს პროტესტიც ამიტომ არის. თუმცა ფორმები არ მომწონს. შეურაცხყოფა არ მომწონს. არც ხატიაშვილის გამოხატვის ფორმები არ მომწონს. მასზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. კონსტრუქციულ რეჟიმში შეიძლება ბევრი რაღაც შეიცვალოს. ის ფორმები მე არ მომწონს, მაგრამ ამას მიზეზი აქვს. რა თქმა უნდა, ყველაფერზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, – განაცხადა კობახიძემ. (ipress.ge)



**შპს ,,მტკვარი ენერგეტიკა" განმეორებით აცხადებს №T-2016-17 ფასთა ღია გამოკითხვას ელექტროტექნიკური სამუშაოებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა დანიშნულების სახარჯი მასალების შესყიდვასთან დაკავშირებით:**

ლოტი 1 - სხვადასხვა ტიპის კაბელი;
ლოტი 2 - სხვადასხვა სახის სახრჯი მასალა.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართოთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

**სს ,,ხრამჰესი 1" განმეორებით აცხადებს №X1-2016-19 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიულ მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

**სს ,,ხრამჰესი 2" აცხადებს №X2-2016-20 ღია კონკურენტულ მოლაპარაკებებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2"-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 18 თებერვალი 15 საათი.*

**შპს ,,მტკვარი ენერგეტიკა" განმეორებით აცხადებს №MT-2016-20 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა დანიშნულების ქიმიური მასალის შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, ალმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

## თუ ხმაურიანი გართობა გიყვართ, 1-ელ სექტემბრამდე მოასწარით, მერე მაგრად დაჯარიმდებით



თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძე ხმაურთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ შემუშავებულ რეგულაციებზე საუბრობს.

თედო კობახიძის განცხადებით, კანონი, რომელიც დილისა და ღამის საათებში ხმაურის დონეს დაარეგულირებს, ძალაში 1-ლი სექტემბრიდან შევა. დადგენილ დეციბელებზე გადაჭარბების შემთხვევაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საპატრულო პოლიცია დააჯარიმებს.

– ხმაურის შესახებ საკანონმდებლო წინადადებით მივმართეთ პარლამენტს, რომ ხმაური დილის და ღამის საათებში დასჯადი იყოს. დღის საათებად განისაზღვრა დილის 7-დან 11 საათამდე პერიოდი, ღამის საათებად კი განისაზღვრა ღამის 11-დან დილის 7 საათამდე პერიოდი. დილით ხმაურის დონე 40 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს, ღამის საათებში კი – 30 დეციბელს. მოსახლეობა სხვისი გართობით ან სამუშაოთი არ უნდა გაიტანჯოს. მათ უნდა მოაწყონ ისე თავიანთი მხიარულება, რომ სხვა არ შეაწუხონ. კაფე-ბარებსა და სხვა ამ ტიპის დაწესებულებებს შეუძლიათ გააკეთონ მათ ფართში იზოლირება ისე, რომ გამომავალმა ხმაურმა სხვას პრობლემა არ შეუქმნას. ჩვენ არ ვიგონებთ ახალ ველოსიპედს. ეს ევროკავშირისა და ევროპარლამენტის დირექტივაა", – განაცხადა თედო კობახიძემ.

ახალი კანონპროექტის შესაბამისად, ხმაურზე კონტროლი შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ კი საპატრულო პოლიციას დაევალება. პოლიციელები სპეციალური ხმაურმზომებით იქნებიან აღჭურვილნი და თუ დაშვებულ დეციბელებს იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირებმა გადააჭარბეს, ადგილზე დაჯარიმებას განახორციელებენ.

თედო კობახიძის განმარტებით, ფიზიკური პირი დღის საათებში კანონის დარღვევის შემთხვევაში 150 ლარით, ხოლო სალამოს საათებში 300 ლარის ოდენობით დაჯარიმდება. რაც შეეხება იურიდიულ პირს, კანონდარღვევის შემთხვევაში ის დღის საათებში 500 ლარით, ხოლო ღამის საათებში დარღვევის შემთხვევაში 1000 ლარით დაჯარიმდება. წლის განმავლობაში დარღვევის განმეორების შემთხვევაში ჯარიმის თანხა ორმაგდება. (mpress.ge)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22





# რა ილაპარაკა პრეზიდენტმა და რისი გაკეთება შეუძლია კონსტიტუციის მიხედვით

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ყოველწლიური ანგარიშით პარლამენტში წარდგა, რომელსაც, მთავრობის წევრები და უცხოელი დიპლომატებიც ესწრებოდნენ. გამოსვლისას მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სისტემურ დანაშაულს სისტემური პასუხი სჭირდება; ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გადაეცეს რეალური ძალაუფლება; არჩევნებამდე უნდა გატარდეს ცვლილებები საარჩევნო კოდექსში; უნდა განახლდეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; რეფორმებია გასატარებელი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში; გადასახედია ეროვნული ბანკის შესახებ კანონმდებლობა და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილის დაანონსებული მესიჯები ძალიან მნიშვნელოვანია, საინტერესოა, რას შეცვლის პრეზიდენტი ამ შემთხვევაში და რამდენად გაითვალისწინებენ მარგველაშვილის წინადადებებს, თუკი უმრავლესობის დეპუტატების თქმით პრეზიდენტი არის ნომინალური ფიგურა, მედიატორი, შეზღუდული უფლებებით და უბრალოდ, ის წარმოადგენს სახელმწიფო სიმბოლიკას.

სინამდვილეში რა და რისი უფლებები აქვს პრეზიდენტს?

**იურისტი ლევან ალაფიშვილი „ალიას" კითხვებს პასუხობს:**

**— პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი მზად არის, დაესწროს პრეზიდენტის გამოსვლას. აქამდე მთავრობა აცხადებდა, სავალდებულო არ არის ჩვენი დასწრება, ამით კონსტიტუცია არ ირღვევაო.**

– ირაკლი ღარიბაშვილისგან განსხვავებით, რომელსაც მთავრობაში ჰყავდა პოლიტიკურად წონიანი კონკურენტები, მაგალითისთვის, თუნდაც ირაკლი ალასანია ავიღოთ, ეს გამოწვევა გიორგი კვირიკაშვილს ნაკლებად აქვს. მთავრობა არ შეცვლილა, ჯერჯერობით გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილება ამ მხრივ არ გვინახავს, თუმცა ვფიქრობ, ის ცდილობს, მოამზადოს საერთო ფონი და სავარაუდოდ, გაზაფხულისთვის ჩვენ ვიხილავთ სამთავრობო ცვლილებებს. ამ ფონზე მნიშვნელოვანია, შეინარჩუნოს ის კონსტრუქციულობა, რასაც მისი დანიშვნიდან დღემდე აქვს ადგილი და კონსტრუქციულობის გამოხატულება იქნება სწორედ ის, რომ დაესწრება პრეზიდენტის ყოველწლიურ გამოსვლას პარლამენტში სამთავრობო გუნდთან ერთად. ის, რომ ყოფილი პრემიერი არ ესწრებოდა პრეზიდენტის გამოსვლებს, შეიძლება იმ ფაქტორით ავხსნათ, რომ წინა პრემიერი იყო ახალგაზრდა, მას არ ჰქონდა პოლიტიკური გამოცდილება გიორგი კვირიკაშვილისგან განსხვავებით.

**— ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა ხშირად იმეორებდა, რომ პრეზიდენტი არის ნომინალური ფიგურა, სახელმწიფო სიმბოლიკა, უუფლებო მედიატორი, რომელსაც არავინ უსმენს და ის არის ბუტაფორია. მაშ, რა აზრი აქვს ასეთი პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლების მოსმენას, თუ მის ნათქვამს არავინ გაითვალისწინებს და ის არ შევა საკანონმდებლო წინადადებით და საერთოდ, რა აზრი აქვს ასეთი პრეზიდენტის არსებობას?**

– პოლიტიკოსებმა ბევრი დრო და რესურსი დახარჯეს, რომ სასურველი რეალობად წარმოეჩინათ. პრეზიდენტის ინსტიტუტზე მსჯელობის დროს ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ეს არის უფუნქციო და ამ რიტორიკაში მმართველმა გუნდმა გალია ძალიან დიდი დრო, სინამდვილეში პრეზიდენტი ჩვენი კონსტიტუციის ახალი მართვის მოდელით არის სახელმწიფოს მეთაური, იგი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მას შეზღუდული აქვს საგარეო ურთიერთობების კომპეტენციები, მაგრამ მაინც აქვს... თუმცა, ყველაზე უმთავრესი არის ის, რომ საქართველოს პრეზიდენტს შენარჩუნებული აქვს ისეთი კომპეტენცია, რომელიც არის პოლიტიკური მნიშვნელობისა. მაგალითად, უმსხვილესი ავტონომიის მთავრობის მეთაურთან მიმართებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ანგარიშვალდებული არ არის არც მთავრობის და არც პარლამენტის წინაშე, ის არის ვალდებული პრეზიდენტისა და აჭარის უზენაესი საბჭოს წინაშე. რეალობა არის ეს, პრეზიდენტს აქვს შეზღუდული უფლებები, მაგრამ მნიშვნელოვანი კომპეტენციები. საპარლამენტო უმრავლესობა ხშირად პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკნინების მიზნით ამბობდა, რომ მას საპარლამენტო ინიციატივების უფლებაც კი არ აქვს, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ პრეზიდენტს თუ არა აქვს საპარლამენტო ინიციატივის უფლება, აქვს უმთავრესი ბერკეტი და ეს გახლავთ საკანონმდებლო წინადადების უფლება. მართალია, საკანონმდებლო წინადადება განსხვავდება საკანონმდებლო ინიციატივისგან, მაგრამ, თუკი წარადგინა საკანონმდებლო წინადადება და თუკი პარლამენტი მხარს დაუჭერს, ის უკვე იქცევა საპარლამენტო ინიციატივად. თუკი პარლამენტი და მთავრობა არის პარტიული, პოლიტიკური ორგანოები, პრეზიდენტი არის ამ ყველაფრის მიღმა და ის არის არბიტრი. სხვა საკითხია, რამდენად ძლიერი არბიტრია მარგველაშვილი, მას წილად ხვდა ის გამოწვევა, რომ ამ საპრეზიდენტო მოდელში ყოფილიყო პირველი პრეზიდენტი.

**— პრეზიდენტი მარგველაშვილი დღემდე რომელი საკანონმდებლო წინადადებით წარმდგარა პარლამენტში, რომელიც შემდგომ გამხდარა საკანონმდებლო ინიციატივა. გახსენდებათ ასეთი რამ?**

– არც ერთი არ მახსენდება, მსგავსი რამ დღემდე არ ყოფილა, თუმცა იგივე ვეტოებთან დაკავშირებით მას ჰქონია ალტერნატიული წინადადება. კლასიკური გაგებით, რომ პრეზიდენტი შესულიყო საკანონმდებლო წინადადებით პარლამენტში, მას დღემდე ეს უფლება არ გამოუყენებია.

**— საკონსტიტუციო სასამართლოში „ლგბტ" უფლებადამცველთა სარჩელი შევიდა, რომ დაკანონდეს ქალისა და ქალის, კაცისა და კაცის ქორწინება. პრეზიდენტი საკანონმდებლო წინადადებით რომ შევიდეს, კონსტიტუციაში ჩაიწეროს — ოჯახი, ეს არის ქალისა და მამაკაცის კავშირი, რასაც აქამდე ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი ითხოვდა, თქვენი აზრით, რამდენად მომგებიანი იქნება პრეზიდენტისთვის ეს სვლა?**

– საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხზე სარჩელი კი შევიდა, სასამართლო დაიწყებს განხილვას, მაგრამ დასკვნებისთვის ეს არაფერს არ ნიშნავს. მე ვფიქრობ, ეს არის მცდელობა, რომელიც წარუმატებლობისთვისაა განწირული, რადგან ერთია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენა, მეორეა პარლამენტში მისი დაკანონება. პარლამენტის თავმჯდომარემ ძალიან მოკლედ და გასაგებად თქვა, კანონში ცვლილებები, ეს არის პარლამენტის კომპეტენცია. დავით უსუფაშვილმა კარგად იცის ამა თუ იმ კანონის პერსპექტივა. პარლამენტსა და საზოგადოებაში განწყობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არარეალურად მიმაჩნია კანონის ინიცირებით ამ მიზნის მიღწევა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება.

**— სხვათა შორის, პარლამენტის თავმჯდომარის ერთ უცნაურ განცხადებაზე მაინტერესებს თქვენი აზრი: „რასაც ბიძინა ივანიშვილი ხალხს დაჰპირდა, 100%-ით შესრულდა..." რა ქვეტექსტი იკითხება უსუფაშვილის ამ ნათქვამში, პარლამენტის თავმჯდომარე ხუმრობის ხასიათზეა?**

– პარლამენტის თავმჯდომარეს რასაც ვერ დავუწუნებთ, ეს არის სიტყვების თუ ტერმინების ისე სწორად მოხმობა, რომ ძნელია, მას შეედავო. ნახეთ, რა იგულისხმა მან: 2012 წელს იყო საპარლამენტო არჩევნები, კოალიციაში თითოეულ პარტიას ცალ-ცალკე და ერთად, ჰქონდა საარჩევნო პროგრამა, რითაც წარდგნენ არჩევნებზე და იქ არსად არ წერია, რომ ბიძინა ივანიშვილი პერსონალურად ხალხს ჰპირდებოდა რამეს, არც პერსონალურად იყრიდა ივანიშვილი კენჭს და არც ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამა უხილავს ვინმეს. რა თქმა უნდა, ის აქტიურად იყო ჩართული და საზოგადოება პერსონალურად ივანიშვილს უჭერდა მხარს, მაგრამ იურიდიულად და დოკუმენტურად, პერსონალურად ივანიშვილი არავის არაფერს შეჰპირებია. შესაძლოა, ივანიშვილი კონკრეტულ პოლიტიკოსებს დაჰპირდა, ასეც არის და აუსრულა, მაგრამ რასაც ჰქვია პოლიტიკურ პროცესში მიცემული დაპირება, რომელსაც ექნება დოკუმენტური სახე, ასეთი პირობა მას არ გაუცია და ამიტომ თქვა უსუფაშვილმა, ივანიშვილი რასაც დაჰპირდა ხალხს, შესრულდაო.

> „პოლიტიკოსებმა ბევრი დრო და რესურსი დახარჯეს, რომ სასურველი რეალობად წარმოეჩინათ. პრეზიდენტის ინსტიტუტზე მსჯელობის დროს ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომ ეს არის უფუნქციო და ამ რიტორიკაში მმართველმა გუნდმა გალია ძალიან დიდი დრო, სინამდვილეში პრეზიდენტი ჩვენი კონსტიტუციის ახალი მართვის მოდელით არის სახელმწიფოს მეთაური, იგი არის ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, მას შეზღუდული აქვს საგარეო ურთიერთობების კომპეტენციები, მაგრამ მაინც აქვს..."

## თეთრი ლიმუზინი — მამა საბას ოჯახური ბიზნესი



შუხუთის ეკლესიის წინამძღვარმა ლიმუზინი შეიძინა – ინფორმაცია ელვისებურად მოედო ლანჩხუთს.

„გურიის მოამბის" ინფორმაციით, შუხუთისა და ნიგვზიანის ეკლესიების წინამძღვარმა, მამა საბამ, ლიმუზინი შეიძინა, რომელსაც ძირითადად კომერციული მიზნებისთვის გამოიყენებს და მას მექორწილეებზე გააქირავებს.

თავად მამა საბა ლიმუზინის შეძენასა და მასთან კავშირს უარყოფს და აცხადებს, რომ ამ ბიზნესით მისი ვაჟიშვილია დაკავებული:

– კი, ვაქირავებთ, მაგრამ ჩემი შვილისაა, უკვე დიდი კაცია და მან შეიძინა, – გვიპასუხა მამა საბამ.

მამა საბას ვაჟი გიორგი ჟღენტი კი გვეუბნება, რომ ლიმუზინის ერთი მომსახურება 150-დან 350 ლარამდეა და ავტომობილი მას ბიძამ აჩუქა:

– ბიძაჩემმა მიყიდა და ვაქირავებთ, – ამბობს გიორგი. (გურიის მოამბე)

## ელისაშვილი: პროკურატურას წყაროს მხოლოდ იმიტომ არ ვუსახელებ, რომ გამოძიებას არ ვენდობი

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში თუკი, პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია შეიქმნება, შეწყალების კომისიის თაობაზე მოწმეს ის ამ ფორმატში დაასახელებს. ელისაშვილი „თავისუფალ დემოკრატებს" დახურულ კარს მიღმა შეხვდა, სადაც კომისიის შექმნის მიზანშეწონილობაზე იმსჯელებს.

მისი თქმით, „თავისუფალი დემოკრატები" კომისიის შექმნის საკითხს უახლოეს მომავალში დააყენებენ.

– აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება კიდევ უნდა გავცვალოთ. გვაქვს პრინციპული თანხმობა იმასთან დაკავშირებით, რომ „თავისუფალი დემოკრატების" ფრაქცია უახლოეს მომავალში დასვამს კომისიის შექმნის საკითხს და ამისთვის ძალიან მადლობელი ვარ.

პროკურატურას წყაროს მხოლოდ იმიტომ არ ვუსახელებ, რომ გამოძიებას არ ვენდობი. პროკურატურა მხოლოდ ჩაფარცხვაზე მუშაობს. კომისია შეიქმნება თუ არა, აუცილებლად დავასახელებ იმ თანამდებობის პირს, იმ გარემოებებს, ყველა დეტალს, რაზეც ეს ადამიანი მესაუბრა.

იმედი მაქვს, „ქართულ ოცნებაში" დარჩნენ პასუხისმგებლობის მქონე, ადეკვატური დეპუტატები, რომლებიც კომისიის შექმნას მხარს დაუჭერენ, – დასძინა ელისაშვილმა. (info9.ge)

## როდის ლანძღავდა გიორგი მარგველაშვილი ქართველ ხალხს და რატომ არ გაახსენდა ეს ამბავი გოგი თოფაძეს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას



ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე გოგი თოფაძემ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს პარლამენტის ტრიბუნიდან მიმართა:

– თქვენ ხართ პირველი კაცი საქართველოში, თქვენი ყველა წინადადება, სიტყვა, თქვენი ბგერა ანალიზდება და მინდა, მოგახსენოთ თქვენ თქვენი გამონათქვამები ქართველ ხალხზე, ქართველ ერზე. შემიძლია დაგისახელოთ – ქართველი ხალხი თქვენ დაუნებს შეადარეთ, უაზროდ... ძალიან სამწუხაროა, თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოქალაქეებს, მაშინ, ალბათ, არც პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ საქართველოსი,

– განაცხადა გოგი თოფაძემ.

რას გულისხმობდა გოგი თოფაძე, როცა პრეზიდენტს მიმართავდა?

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ინტერნეტში ყველაფრის მოძიება შეიძლება და აი, თურმე, რას გულისხმობდა თოფაძე:

2001 წელს ჟურნალმა „დრო მშვიდობისა“ გამოაქვეყნა გიორგი მარგველაშვილის მცირე ფილოსოფიური ტრაქტატი „ნიჩურტა, მე ქართველი ვარ“.

გთავაზობთ საქართველოს პრეზიდენტის რამდენიმე ფილოსოფიურ ნააზრევს:

„ერი, რომელიც ყველას უყვარს და ყველას ეცოდება... მაგრამ რომელსაც ვერ შველიან საკუთარი სისულელის, სიჯიუტისა და სიჩლუნგის გამო“;

„დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია: გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ ფაქტობრივი მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ მდგომარეობამდე.




ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება – აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა...“

„ქართველი ერი ვერ აღწევს ზრდასრული ინტელექტის საფეხურს, გონებრივი განვითარების ეტაპს და ბავშვის ასაკის დონეზე დარჩენილი, მისი ცნობიერება არ არის იმ სიმაღლეზე, რომელზეც ხდება პიროვნების სრული გამთლიანება, ამიტომაც აშენებს ისეთ სახელმწიფოს, როგორსაც ბავშვები აგებენ თამაშის დროს. მოკლედ ის „პამპულობას“ თამაშობს. ქართველი გამოიყურება ემოციურად, იმპულსურად, მაგრამ სინამდვილეში არის ინფანტილური, რადგანაც მას რაციონალური აზროვნების სუსტი საფუძველი აქვს“;

„რა არის ქართული სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფობანას თამაში, რომელიც ბავშვების თამაშის ძირითად წესს ეფუძნება: „არაუშავს“, „მაპატიე, რა“, „არ მინდოდა“ და ა. შ. თუმცა ამ სახელმწიფოში ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც არ უნდა ხდებოდეს: ერთნი მდიდრდებიან, მეორენი ლატაკდებიან... ეს დისბალანსია, რომლის გამოსწორებას უნდა ცდილობდეს ერი...

მაგრამ ამას არ იქმს, დისბალანსი არ იცვლება, რადგან ერთი „ჟილკობით“ იგებს, მეორე კი არ ცდილობს, ეს „ჟილკობა“ დაგმოს, არამედ ცდილობს, თვითონაც იხეიროს სხვათა ხარჯზე...“



## ბერძენიშვილი ჯაჭვლიანის კანონპროექტზე: პარლამენტში ლიბერალები უმცირესობაში ვართ



„მე არ დავუჭერ მხარს ამ კანონპროექტს, მაგრამ არ მიკვირს სხვების პოზიცია“, – „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ წევრი ლევან ბერძენიშვილი სოსო ჯაჭვლიანის კანონპროექტზე საუბრობს, რომლის მიხედვითაც, მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 600 ლარია. რელიგიური სიწმინდეებისა და საკულტო ნაგებობების წაბილწვა 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს, ხოლო გამეორების შემთხვევაში – 1000 ლარით.

ბერძენიშვილის თქმით, კანონპროექტს პარლამენტის ლიბერალი წევრები არ დაუჭერენ მხარს. მათში პარლამენტარი გულისხმობს არა მარტო „რესპუბლიკელებს“, არამედ „თავისუფალ დემოკრატებს“ და ასევე, დანარჩენ საპარლამენტო ოპოზიციას.

– პირადად მე ამ კანონპროექტს მხარს არ დავუჭერ და გავა თუ არ გავა, მაგას ვერ ვიტყვი. მაგრამ ვინ არ დაუჭერს მხარს, ეგ ვიცი. ეს არ არის დემოკრატიული. იქნება განხილვა და მოგვიწევს ამაზე კონკრეტულად ლაპარაკი. მაგრამ ის, რომ კომიტეტმა დღეს მხარი დაუჭირა, ამაში გასაკვირი არაფერი არაა. ლიბერალური ფრთის წარმომადგენელი პარლამენტში მარტო 2 პარტიაა და ისინი რაოდენობრივად უმრავლესობაში არ არიან. ჩვენ ვართ კოალიციაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ჩვენი იდეოლოგიისაა. იმათ ბავშვობიდან აქვთ გამოცხადებული, რომ კონსერვატორები არიან და სხვანაირად უყურებენ ამ საკითხებს, – აცხადებს ბერძენიშვილი. (ლიბერალი)

## „ჯეოსელის“ მომხმარებელთა ნაწილს საუბარი 5-ჯერ გაუძვირდება

„ჯეოსელმა“ 3 საყვარელი ნომრის სპეცმომსახურება გააუქმა.

შესაბამისად, ტრანსფორმირდა 000 პაკეტი და 3 არჩეული ნომრის ნაცვლად, „ჯეოსელისა“ და „ლაი-ლაის“ ყველა აბონენტისთვის ერთიანი ტარიფი ამოქმედდა. ინფორმაცია ოფიციალურ ვებ და „ფეისბუკ“ გვერდებზეა ხელმისაწვდომი.

შეცვლილი სატარიფო პოლიტიკით, ზარის წამოწყების 10 თეთრის გადახდის შემდეგ უფასო სასაუბროა მხოლოდ 9,59 წუთი, მე-10 წუთის შესრულებისთანავე შემდეგი 10 თეთრი ირიცხება. ამასთანავე, 000-ის 1-თვიანი აქტივაციის 1 ლარსაც თუ გავითვალისწინებთ, ტრანსფორმაციის შემდეგ აღნიშნული პაკეტის ფარგლებში 10 წუთი სასაუბრო მომხმარებელს საშუალოდ 5-ჯერ გაუძვირდა. (bpi.ge)


**სს „ხრამჰესი 1“ აცხადებს №X1-2016-17 ღია კონკურენტულ მოლაპარაკებებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 1“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 1“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 18 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს №MT-2016-18 ფასთა ღია გამოკითხვას სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკური ხელსაწყოს შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

**სს „ხრამჰესი 2“ განმეორებით აცხადებს №X2-2016-22 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიულ მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სს „ხრამჰესი 2“-ის შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე : +995 551 461949.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2“-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

**შპს „მტკვარი ენერგეტიკა“ განმეორებით აცხადებს №თ-2016-33 წინადადებების ღია გამოკითხვას იურიდიული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით**

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა საკონკურსო მასალების და დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შპს „მტკვარი ენერგეტიკა''-ს შესყიდვების განყოფილების წარმომადგენელს ტელეფონის ნომერზე: +995 599 567520.

შემოთავაზებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას შპს „მტკვარი ენერგეტიკა“-ს კანცელარიაში მისამართზე: გარდაბანი, აღმაშენებლის ქ№2ა

*წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 17 თებერვალი 15 საათი.*

## აზერბაიჯანული კომპანია „აზერენერჯი“ „გაზპრომისგან“ ბუნებრივი აირის ყიდვას გეგმავს



აზერბაიჯანული კომპანია „აზერენერჯი“ რუსეთისგან ბუნებრივი აირის ყიდვას გეგმავს. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ საინვესტიციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ელშად ნასიროვმა განაცხადა.

მისი თქმით, აზერბაიჯანი ბუნებრივ აირს რუსული „გაზპრომიდან“ სააქციო საზოგადოება „აზერენერჯისთვის“ იყიდის.

ამასთანავე, ნასიროვის თქმით, რუსეთისგან გაზის ყიდვისთვის „სოკარის“ ინფრასტრუქტურა იქნება გამოყენებული.

– სააქციო საზოგადოება „აზერენერჯის“ დამატებითი მოცულობის გაზი სჭირდება. არსებული მარაგი არ არის საკმარისი. ამიტომაც გადაწყდა გაზის იმპორტი, ამისთვის კი „სოკარს“ შეუძლია ინფრასტრუქტურის შეთავაზება, – განაცხადა ნასიროვმა. (ინტერპრესნიუსი)

## „ბარბაროსობას+სიბოროტე“ — ოპერის სკვერში შადრევანი დაამტვრიეს



ოპერის სკვერში შადრევანი დაამტვრიეს, ამის შესახებ მოქალაქე დიანა ფანჯავიძე სოციალურ ქსელში წერს და სურათებს აქვეყნებს.

– ბარბაროსობას+სიბოროტე!!! ოპერის ბაღში, განახლებულ სკვერში, შადრევანი ასე დაამტვრიეს გახსნის წინა დღეს. მარმარილოს ფილები ჩაყარეს შადრევანში. სამარცხვინო ფაქტია. წარმოუდგენელია...

მსოფლიოს არც ერთ წერტილში არ მომხდარა მსგავსი რამ, რომ საოპერო თეატრის წინ დედაქალაქში მარმარილოს ფილები ემტვრია ვინმეს...

ეს თავში როგორ უნდა მოგივიდეს ადამიანს და როგორ არ უნდა დაისაჯო კანონით?! (primenewsgeorgia.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# რა დამსახურებისთვის გაუფორმა მერიამ უგულავასდროინდელ ჩინოვნიკს 2 მილიონ 162 ათასიანი კონტრაქტი?



არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლის თაობამ“ მოამზადა კვლევა, რომელიც ტენდერის გვერდის ავლით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, მილიონობით ლარის ღირებულების ხელშეკრულებების გაფორმების საკითხს ეხება.

რის სანაცვლოდ და რა „დამსახურებისთვის“ გაუფორმეს გიგი უგულავას საქმის მოწმეს და უგულავასდროინდელ დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს თორნიკე შიოლაშვილს – 2 მილიონ 162 ათას 755 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები?

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიმართლის თაობის“ წარმომადგენელი თორნიკე ბიკაშვილი ესაუბრა:**

– ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ 2013 წლის პირველი იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით, ქვეყნის მასშტაბით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით 134 მილიონი ლარის ხელშეკრულება გაფორმდა ისეთ კომპანიებთან, რომლებიც 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ არის დაფუძნებული, კონკრეტულად შესყიდვებიდან რამდენიმე დღითა და თვით ადრე არიან დაფუძნებულები.

**— რა ტიპის ხელშეკრულებები შეისწავლეთ?**

– კვლევა შეეხებოდა მხოლოდ ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა ღირებულებაც აღემატებოდა 50 000 ლარს. 50 000 ლარამდე ხელშეკრულებების რაოდენობა შვიდჯერ მეტია და, შესაბამისად, თანხაც საგრძნობლად გაიზრდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ტენდერის გვერდის ავლით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების გაფორმებისას სახელმწიფო თანხის მინიმუმ 10%-ს კარგავს, ისე კი, 20, 30 და 50 პროცენტსაც კი აღწევს თანხის კლება. ანუ თუ მხოლოდ ამ შესყიდვებზე ვისაუბრებთ, ქვეყანას, მინიმუმ 13 მილიონის ზარალი მიადგა, თავი რომ დავანებოთ მათი შესრულების ხარისხს.

**— ვინ არიან შემსყიდველები?**

– ამ მხრივ, ყველაზე მსხვილი შემსყიდველები არიან: თბილისის მერია – 22 409 413 ლარით, და თავდაცვის სამინისტრო – 33 313 430 ლარით.

**— რომელ კომპანიებთან ხდებოდა ამ ხელშეკრულებების გაფორმება?**

– კომპანიებიდან გამორჩეულია შპს „ენკო“ – 5 ხელშეკრულების სახით, ჯამში – 2 მილიონ 162 ათას 755 ლარი.

**— რა იცით ამ კომპანიის თაობაზე?**

– კომპანია დაფუძნებულია 2014 წლის 14 ოქტომბერს და მისი დამფუძნებელია გიგი უგულავას საქმის მთავარი მოწმე და დასუფთავების სამსახურის ყოფილი უფროსი თორნიკე შიოლაშვილი. საუბარია იმ პერიოდზე, როცა შიოლაშვილი გიგი უგულავას მთავრობაში იყო. ეს გარემოება გარკვეულ ეჭვებს ბადებს. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული ხელშეკრულებებით, პრაქტიკულად მოისყიდეს უგულავას საქმის მოწმე. ამ ეჭვს ამძაფრებს ისიც, რომ კონტრაქტები იდებოდა სწორედ უგულავას სასამართლო პროცესების დღეებში.

> **„საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ქალაქის უვიც მთავრობასთან, რომელსაც არ შეუძლია, დროზე დაგეგმოს ესა თუ ის ღონისძიება, ასევე, რაც კიდევ უფრო მეტად საზიანოა და ზემომოყვანილი ფაქტებიც ამას ადასტურებს, გვყავს კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება, რომლებიც**

**— რა სამუშაოებში გადაუხადეს თანხა?**

– თბილისში სხვადასხვა ადგილას გზის საფარის დაგება-მოწესრიგებაში. აღნიშნულ კომპანიას წარსულში არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და მიუხედავად ამისა მერიამ, ასე, რამდენიმე დღის წინ დაარსებულ კომპანიასთან დაიწყო საკმაოდ მჭიდრო თანამშრომლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და ერთ პირთან მოლაპარაკებით გაფორმებული ხელშეკრულებებისა, ამ კომპანიას სხვა არც ერთ ტენდერში არ აქვთ მიღებული მონაწილეობა. ასევე, აღსანიშნავია კომპანია „თბილისის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ცენტრი“, რომელიც დაფუძნდა 2015 წლის 25 ივლისს და აგვისტოში მიიღო 95 300-ლარიანი ხელშეკრულება თბილისის მერიისგან საზაფხულო ბანაკთან დაკავშირებით. გეხსომებათ, ერთი ამბავი რომ იყო ატეხილი კახი კალაძის ცოლისძმის, გიორგი არეშიძის მეგობარზე, ეს არის ომარ გოგუაძე, დამფუძნებელი. მოგეხსენებათ, რომ სწორედ ეს ხელშეკრულება და შემდეგში უდიპლომობა გახდა კალაძის ცოლისძმისთვის პოლიტიკური სკანდალის და შემდეგში გადადგომის საფუძველი.

ამ გზით ხელშეკრულების გაფორმებისას საფუძველი უნდა იყოს გადაუდებელი აუცილებლობა – ფორსმაჟორი, ან უნდა არსებობდეს ცენტრალური მთავრობის თანხმობა. როგორ შეიძლება ფორსმაჟორად ჩავთვალოთ „თბილისის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადა“, რომელიც წლების მანძილზე ვიცოდით, რომ თბილისში უნდა ჩატარებულიყო და ამ გზით 60 მილიონ ლარზე მეტის ხელშეკრულებები გააფორმეს ისეთ შესყიდვებზე, როგორიცაა სპორტული ინვენტარი, ავეჯი, კომპიუტერები და ა.შ. თავისუფლად იყო შესაძლებელი, ტენდერის გამოცხადება და მილიონობით ლარის დაზოგვა. ასევე, საინტერესოა ის ფაქტორიც, რომ საოლიმპიადე ხელშეკრულებები ოლიმპიადის დასრულების შემდგომაც გააფორმეს. ასევე, მოხდა „თბილისობაზეც“, სადაც, მაგალითად, სამგორის რაიონის გამგებელმა, თავისი მეუღლის თანამშრომელს გაუფორმა ხელშეკრულება და ღონისძიების წამყვანიც მისივე მეუღლე გახლდათ.

ყველაფერ აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, ქალაქის უვიც მთავრობასთან, რომელსაც არ შეუძლია, დროზე დაგეგმოს ესა თუ ის ღონისძიება, ასევე, რაც კიდევ უფრო მეტად საზიანოა და ზემომოყვანილი ფაქტებიც ამას ადასტურებს, გვყავს კორუფციაში ჩაფლული ხელისუფლება, რომლებიც თავიანთ მეგობრებზე, ახლობლებზე და პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე აფორმებენ მილიონობით ლარის კონტრაქტებს, რითაც აზარალებენ ბიუჯეტს.

**— რას უპირებთ ამ კვლევას?**

– მივმართავთ ანტიკორუფციულ სამსახურსაც და პროკურატურასაც. ვიმედოვნებთ, რომ მიმართავენ შესაბამის ღონისძიებებს და წერტილი დაესმება ამ სრულ განუკითხაობას, თუმცა, რამდენად მიხედავენ, ეგ მეორე საკითხია, იმიტომ, რომ აქ შიოლაშვილის ფაქტორია, რომელიც პროკურატურის მთავარი მოწმეა გიგი უგულავას საქმეზე და „საჭირო“ კაცია მათთვის.

**— ისედაც უამრავჯერ მიმართეთ სხვადასხვა უწყებას, კონკრეტული საკითხებით დაინტერესებულიყვნენ, მაგრამ რომელიმემ შედეგი გამოიღო?**

– სწორედაც ბევრჯერ რომ მივმართეთ და შედეგი არაფერი დადგა, ამიტომაცაა, რომ ეჭვი გვეპარება მათ მონდომებაში, თორემ იმას, რომ ქვეყანაში სრული განუკითხაობაა, ჩვენი კვლევაც ადასტურებს.

**თორნიკე ბიკაშვილთან საუბრის შემდეგ, თბილისის მერიის პრესსამსახურს დავუკავშირდით, გავინტერესებდა, რა „დამსახურებისთვის“ გაუფორმეს თორნიკე შიოლაშვილს 2 მილიონ 162 ათას 755 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. როგორც მერიის პრესსამსახურში გვითხრეს, ვინაიდან სამუშაო საათები დასრულებული იყო, იმ პერიოდისთვის შეუძლებელი იქნებოდა ინფორმაციის მოძიება და შესაბამის პირებთან დაკავშირება. თუ მერია გადაწყვეტს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებას, მათ პოზიციასაც დავაფიქსირებთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორი ამინდია მოსალოდნელი საქართველოში — უახლოესი დღეების პროგნოზი



გარემოს ეროვნული სააგენტო უახლოეს დღეებში მოსალოდნელი ამინდის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

4-დან 6 თებერვლამდე გამოიდარებს. მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ჰაერის ტემპერატურა +13, +18 გრადუსამდე მოიმატებს.

6 თებერვალს მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი.

7 თებერვლიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოიდარებს. (ნიუპოსტი)

## ევროპაში 10 ათასი მიგრანტი ბავშვი დაიკარგა



დაახლოებით 10 ათასი მიგრანტი ბავშვი, რომელიც ევროპაში აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან მშობლების გარეშე აღმოჩნდა, ევროკავშირის ტერიტორიაზე მოხვედრის შემდეგ დაიკარგა. „გარდიანის“ ინფორმაციით, სამართალდამცველები შიშობენ, რომ ბავშვები ტრეფიკინგის მიზნით გაიტაცეს.

ევროპოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ბრაიან დონალდის განცხადებით, 5 ათასი ბავშვი უკვალოდ გაქრა იტალიაში, შვედეთში დაკარგული ბავშვების რიცხვი ათასამდეა, ბრიტანეთში კი გაურკვეველი ბავშვების რაოდენობა გაორმაგდა.

– ყველა მათგანი არ აღმოჩენილა დამნაშავეების ხელში, ნაწილმა შესაძლოა, ნათესავები იპოვა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, სად არიან ისინი და რას აკეთებენ, – აცხადებს დონალდი. (frontnews.ge)

## ნასვამმა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა სამსახურებრივი მანქანა დაამტვრია




ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა სოსო სულაბერიძემ „ტოიოტა პრადოს“ მარკის სამსახურებრივი მანქანა ოზურგეთი-ურეკის საავტომობილო გზაზე დაამტვრია.

წყაროს ინფორმაციით, გენერალურ ინსპექციაში საქმე ექსპრემიერის ძმამ, ადიკო ივანიშვილმა ჩააწყო. ოზურგეთის პოლიციის უფროსი და ივანიშვილები ახლო ნათესავები არიან.

რამდენიმე დღით ადრე სამსახურებრივი მანქანით ავტოსაგზაო შემთხვევა გურიის პოლიციის კიდევ ერთ მაღალჩინოსანს, ირაკლი შავიშვილსაც შეემთხვა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, შავიშვილი ნასვამ მდგომარეობაში არ ყოფილა და მის საქმეს გენერალური ინსპექცია იძიებს. (ნიუპოსტი)

## რატომ ჭიანურდება „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის განხილვა?



2013 წელს მომზადებული „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტს საგაზაფხულო სესიაზე განიხილავენ. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში აცხადებენ, რომ კანონპროექტის განხილვა ხელოვნურად ჭიანურდება.

კანონპროექტი მყიდველს უფლებას აძლევს, შეძენილი პროდუქცია 14 დღის განმავლობაში დააბრუნოს და გადახდილი თანხა უკან მიიღოს. მასში გაწერილია ის ნორმები, რომლითაც შეძენილ პროდუქციაზე დამატებითი საგარანტიო პირობები გავრცელდება და მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედებასაც ითვალისწინებს.

დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტში კანონპროექტის არსებულ ვარიანტთან დაკავშირებით შენიშვნები აქვთ. კანონპროექტის არსებული ვარიანტი მიუღებელია ბიზნესასოციაციისთვის. თავად მომხმარებელი კი ამბობს, რომ ხშირად პროდუქციის შეძენისას მისი რეალური მახასიათებლების შეფასება ვერ ხერხდება. (ბპნ.გე)

## გიორგი ქადაგიძე — ეროვნულ ბანკს ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ძველის

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებით, ლარის ახალი ბანკნოტების ბეჭდვა ეროვნულ ბანკს უფრო იაფი უჯდება, ვიდრე ძველი ნომინალის ბანკნოტების.

– ახალი ბანკნოტების გამოსვლასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო. პირველი, ისინი მიმოქცევაში იქნება ძველ ბანკნოტებთან ერთად და დროთა განმავლობაში ცვეთასთან ერთად ძველი ბანკნოტები ამოვა მიმოქცევიდან და მას სრულად ჩაანაცვლებს ახალი. ახალი ბანკნოტები არის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული, როგორც დიზაინით, ასევე ტექნოლოგიურად. ეს პროცესი არ არის დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, ვინაიდან ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით, ბეჭდვა ეროვნულ ბანკს უფრო იაფი უჯდება, ვიდრე უჯდებოდა ძველი ნომინალის ბანკნოტების, – განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მისივე თქმით, ლარის 20-წლიანი ისტორიის განმავლობაში ეს არის პირველი განახლება, რაც დაკავშირებულია დადებით მოლოდინებთან. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# „ვითიბი აზერბაიჯანმა“ კლიენტებს შეღავათები დაუწესა — რას აპირებს აქაური „ვითიბი“?

რა გააკეთეს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ ლარის კურსის გადასარჩენად? შეხედეთ ეროვნული ვალუტის დღევანდელ მდგომარეობას და დასკვნას იოლად გამოიტანთ.

და რა გააკეთეს ლარის კურსის გაუფასურების გამო ლამის გაღარიბებული მომხმარებლებისთვის საქართველოში მომუშავე ბანკებმა? საერთოდ არაფერი!

ამ სიტუაციაში კი ეროვნული ბანკის მონაცემებით ირკვევა, რომ 2015 წლის დეკემბერში საბანკო სექტორის მოგებამ 84,5 მილიონი ლარი შეადგინა, ანუ იმის მაგივრად, რომ ბანკებს კეთილი ნება გამოეჩინათ და ასეთ კრიზისულ სიტუაციაში მომხმარებლებისთვის რაიმე შეღავათები დაეწესებინათ, პირიქით მოიქცნენ - შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს და ხალხის ხარჯზე ჯიბეები კიდევ უფრო მეტად აივსეს!

განსაკუთრებით გაუჭირდათ ბანკების იმ მომხმარებლებს, რომელთაც სესხი დოლარში აქვთ აღებული, თუმცა ეს აბა, ვის აღელვებს?!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ ტყემალაძე აქეთ გვაყვედრის – მეც დოლარში მაქვს სესხი გამოტანილი და ეს პრობლემა მეც შემეხო, ეგრე კი არაა, მეც ვნერვიულობ და მეც დავზარალდიო.

უკაცრავად, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქვეყანაში ბევრი „ზურაბ ტყემალაძე“ ნამდვილად არ არის, ხალხი თვიდან თვემდე 300-500-ლარიანი შემოსავლით (ესეც კარგ შემთხვევაში) არჩენს საკუთარ ოჯახებს და ლარის გაუფასურებით მათი ზარალი ტყემალაძისა და მისნაირების ზარალთან შედარებით კატასტროფულია!..

მივუბრუნდეთ ისევ ბანკებს.

აზერბაიჯანის მაგალითი რომ ავიღოთ, სადაც ადგილობრივი ეროვნული ვალუტა პრაქტიკულად, განადგურდა, „ვითიბი აზერბაიჯანმა“ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და მომხმარებლების მხარდასაჭერად შეღავათების პროგრამა შექმნა. ბანკის ინფორმაციით, პროგრამა შექმნილია კლიენტებისთვის, რომლებიც საკრედიტო დავალიანების გადახდის დროს პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ბანკი კლიენტებს სთავაზობს ვალის დაფარვის სამ ვარიანტს, რაც ითვალისწინებს როგორც ყოველთვიური შენატანის, ისე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას...

– „ვითიბი აზერბაიჯანი“ კლიენტებისადმი შემხვედრ ნაბიჯებს დგამს და მზადაა, დაეხმაროს შესაძლო სირთულეების გადალახვაში. სწორედ ამიტომ შევიმუშავეთ სპეციალური პროგრამა სახელწოდებით „კლიენტის მხარდაჭერა“. ამ პროგრამის ფარგლებში „ვითიბი აზერბაიჯანი“ მიდის მნიშვნელოვან დათმობებზე თავისი მსესხებლების მიმართ და ეს არ ეხება მხოლოდ დოლარის კრედიტებს. ჩვენ ასევე ვთავაზობთ დავალიანების ტვირთის შემცირებას მანათისა და რუბლის მსესხებლებს. ერთად ჩვენ ყველა სირთულეს გადავლახავთ, – აცხადებს ბანკის ხელმძღვანელი იური იაკოვლევი.

დავინტერესდით, გაითვალისწინებს თუ არა „ვითიბი აზერბაიჯანის“ მაგალითს პირველ რიგში, „ვითიბი ბანკი ჯორჯია“?

**„ალიას“ ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ბენდელიანი ესაუბრება:**

– პრინციპში, იგივე ჩვენს ბანკში უკვე საკმაოდ დიდი ხანია ხდება და არ არის ახლა წამოწყებული ინიციატივა. ჩვენმა კლიენტებმა იციან და მომართვებიც არის ჩვენს ფილიალებში – ვისაც დოლარში აქვს სესხი, ზოგს უნდა ვადაში გაუხანგრძლივდეს, ზოგს იმიტომ, რომ პრობლემები შეექმნა – უჩერდებათ საპროცენტო განაკვეთი, უფრო სწორად რაღაც საშეღავათო პერიოდი ეძლევათ. ანუ ასეთი მუშაობა ჩვენს კლიენტებთან მიდის და არაერთი ქეისია უკვე ასეთი გაკეთებული, რა დროსაც ჩვენს კლიენტებს შეღავათები დავუწესეთ. ამიტომ ეს ჩვენთვის არ ყოფილა ისეთი ინიციატივა, რომელიც ახლა უნდა დავნერგოთ და გავაკეთოთ. როგორც მითხრეს, წინა წლის, დაახლოებით, აპრილიდან ხდება ეტაპობრივად ყველა მომართვაზე რეაგირება. თავისთავად, კლიენტმა უნდა მოგვმართოს თხოვნით და ამის შემდეგ ხდება უკვე მასთან მუშაობა და მორგება იმ კონკრეტული შეღავათის, რომელიც მას აწყობს, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც უფრო ხელსაყრელია მისთვის.

**— საქართველოში ლარის კურსთან დაკავშირებული პრობლემები შემოდგომაზე დაიწყო და თქვენ აპრილიდან რატომ გადაწყვიტეთ ასეთი რამ? დაატყვეთ, რომ ლარი, შესაძლოა, გაუფასურებულიყო?**

– იცით, რა არის? შეიძლება დევალვაცია სხვა პერიოდში დაიწყო, მაგრამ ხომ არის პერიოდები, როდესაც კლიენტებს პრობლემები ისედაც ექმნებათ? ამ სიტუაციიდან გამომდინარე, რაც ლარის კურსს ეხება - ყოველ შემთხვევაში ჩვენ ჩვეულებრივად ყველა მომართვაზე ვრეაგირებთ და კლიენტებთან უკვე ინდივიდუალურად ვმუშაობთ და თუ რაიმე ასეთივე, ან მაგალითად, წყალდიდობით დაზარალებულების შემთხვევებში, ყველასთან ანალოგიურად გვქონდა სხვადასხვა შეთავაზება, როგორ შეგვემსუბუქებინა ეს ტვირთი.

**— ნინო, თქვენ საუბრობთ ზოგადად რესტრუქტურიზაციაზე, რაც ყველა ბანკს აქვს, ანუ ბანკი პრობლემურ კლიენტებს გადახდის სხვადასხვა სახის საშეღავათო პირობებს სთავაზობს, თუმცა ამ შემთხვევაში ლარის გაუფასურების ფონზე ვისაუბროთ: მას შემდეგ, რაც ეს პრობლემა დადგა ჩვენს ქვეყანაში, თუ დაგიწყიათ იმის მსგავსი შეთავაზებების გაკეთება მომხმარებლებისთვის, რაც აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკმა განახორციელა?**

– ის ნაბიჯები, რაც აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკმა პროგრამის სახით გამოაცხადა, ეს ისედაც ჩვეულებრივად იდგმება ჩვენთან. იქ არ ყოფილა რაღაც ისეთი სიახლე, რომელიც, ვთქვათ, საქართველოში არ არის დანერგილი და არ ხდება. ყველა კლიენტს სხვადასხვა მოთხოვნა აქვს, შესაბამისად, ყველა ის კომპონენტი, რაც აზერბაიჯანში „ვითიბის“ აქვს, ჩვენთანაც ხდება შეთავაზება, უბრალოდ, ჩვენთან ეს ინდივიდუალურ რეჟიმში ხდება და იმ მომართვების საფუძველზე, რომელიც კლიენტების მხრიდან არის.

**— თქვენს შემთხვევაში ინდივიდუალურ განხილვაზე საუბრობთ, აზერბაიჯანის „ვითიბი“ ბანკის შემთხვევაში კი საშეღავათო პირობები მასობრივად, მასშტაბურად, ყველას ეხება, ვისაც სესხი აქვს აღებული აღნიშნული ბანკიდან. ბანკმა ასე გადაწყვიტა, რთულ პერიოდში რაღაც შეღავათები დაუწესოს ყველა იმ ადამიანს, ვისაც მათთან სესხი აქვს აღებული. თქვენთან თუ არის ეს შეღავათები ასეთივე მასშტაბური (და არა ინდივიდუალური) ლარის დევალვაციის ფონზე?**

– მესმის... კარგით, ამას მე ახლა გავარკვევ, უბრალოდ, შეხვედრაზე შევდივარ, უკაცრავად და ცოტა ხანში გადმომირეკეთ, რა...

**სამწუხაროდ, „ვითიბი ბანკთან“ სხვა დეტალების გარკვევა ამ ეტაპისთვის ვეღარ მოხერხდა, თუმცა ვეცდებით, აღნიშნულ საკითხზე შემდეგში უფრო მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ.**

**რაც შეეხება საქართველოში მოქმედ სხვა ბანკებს: ვინაიდან აზერბაიჯანში კონკრეტულად „ვითიბი ბანკმა“ მოახდინა საკუთარი მომხმარებლებისთვის საშეღავათო პირობების დაწესება, ჩვენც შესაბამისად, პირველ რიგში, „ვითიბი ჯორჯიას“ დავუკავშირდით და მხოლოდ მათთან მიმართებაში დავინტერესდით, იქნებ აქაც გამოეჩინათ კეთილი ნება და ჯიბეების გასქელების ნაცვლად, ხალხზე ეფიქრათ ლარის გაუფასურების გამო.**






## ვინ იქნება პირველი? — „საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით, დაუწერელი კანონია...“



პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით დაუწერელი კანონია და თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება, შესაბამისად უსუფაშვილი არ უარყოფს, რომ „ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი, შესაძლოა, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყოს.

– საარჩევნო სიის პირველ ნომერთან დაკავშირებით, მგონი, დაუწერელი კანონია, თავისთავად იგულისხმება, რომ არჩევნებზე პარტიასა თუ კოალიციას ლიდერი მიუძღვება. ეს ბუნებრივი თემაა, თუ რამე სხვა განსაკუთრებული არ ხდება. ასე რომ, მე არ და ვერ ვხედავ რაიმე განსაკუთრებულს. ეს თემა ქაღალდზე დაწერილი და ხელმოწერილი არ არის, იმდენად რამდენადაც თავისთავად იგულისხმება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ვინც იქნება კოალიციის ლიდერი, კოალიციას ის უნდა გაუძღვეს, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა. (პირველი რადიო)

## ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს უფლება ექნებათ, ევროკავშირის კანონები დაბლოკონ

ბრიუსელისა და დიდი ბრიტანეთის მოლაპარაკებების შედეგად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პარლამენტებს უფლება ექნებათ, ევროკავშირის კანონები დაბლოკონ. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის დევიდ ქემერონის ადმინისტრაციის წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

გამოცემის თანახმად, ევროკავშირის საკანონმდებლო ინიციატივის დასაბლოკად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარლამენტების 55 პროცენტი უნდა გამოვიდეს.

ამჟამად, ევროკავშირის მოქმედი სისტემის თანახმად, წევრი სახელმწიფოების ეროვნულ პარლამენტებს უფლება აქვთ, ევროკომისიის ინიციატივის წინააღმდეგ ერთობლივად გამოვიდნენ, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას მაინც ევროკომისია იღებს, აღსანიშნავია, რომ ამ უფლებას პარლამენტი იშვიათად იყენებს. როგორც „ბიბისი“ წერს, ახალი ინიციატივა იქნება იმის გარანტი, რომ ევროკომისია ეროვნული პარლამენტების პოზიციის იგნორირებას ველარ შეძლებს. (ნიუპოსტი)

## რა ნარკოტიკებიო, კაცო, მიშამ, „პლანი“ რა არის, ეგეც კი არ ვიციო



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი, უკრაინულ გადაცემაში „სტუმრად დიმიტრი გორდონთან“ ნარკოტიკების მოხმარების თაობაზე დასმული შეკითხვის საპასუხოდ ამბობს, რომ მას არასდროს მოუხმარებია ნარკოტიკული საშუალებები.

– ბევრისგან მსმენია, რომ სააკაშვილი უცნაურად იქცევა, ალბათ, რაღაცას იყნოსავსო... – ეკითხება გადაცემის წამყვანი დიმიტრი გორდონი.

– მათ ძალიან გაუმართლათ, რომ არ ვიყნოსავ, მათ, ვინც ასე ფიქრობს. ეს არის ის ხალხი, რომელსაც არ ვუყვარვარ და ნებისმიერი რამის მოფიქრება შეუძლია. ასეც მშვენივრად ვგრძნობ თავს. არანაირი სახის ნარკოტიკული საშუალება არ გამისინჯავს.

საქართველოში, თავის დროზე, ჩვენ ნარკოტიკების წინააღმდეგ ვიბრძოდით, რამაც ძალიან დააზარალა კლუბები. მახსოვს, ერთხელ ერთი მსახიობი გოგო მოვიდა ჩვენთან და მეუბნება, ბატონო პრეზიდენტო, ვერაფერს ვშოულობო და მე ვუთხარი, თუ რამეს ნახავ, არავინ არაფერს დაგიშავებს და ერთად მოვიხმაროთ-მეთქი, ანუ დარწმუნებული ვიყავი, რომ რამდენიც არ უნდა ეძებნა, ვერანაირ ნარკოტიკულ საშუალებას ვერ იპოვიდა, – აღნიშნავს ოდესის გუბერნატორი.

ჟურნალისტი თამუნა ლეფსვერიძე სააკაშვილის განცხადებაზე სოციალურ ქსელში კომენტარს აკეთებს:

– მოსაწევზე არაფერი უთქვამს, კ სტაწი... ნუ, მახათას მთაზე პატრიარქის სკამში რომ ჩახტა, ეგ არაფერი, – წერს ლეფსვერიძე. (რეპორტიორი)

## „ბოკო ჰარამმა“ ნიგერიაში ბავშვები ცოცხლად დაწვა



ნიგერიის სოფელ დალორიში „ბოკო ჰარამის“ თავდასხმის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 86-მდე გაიზარდა.

გავრცელებული ინფორმაციით, უცნობი პირები სოფელ დალორიში იარაღით შეიჭრნენ და ასაფეთქებელი მოწყობილობაც გააქტიურეს. თავდასხმის შედეგად სოფელი თითქმის მთლიანად განადგურდა. როგორც გადარჩენილები ყვებიან, ტერორისტები ბავშვებს ცოცხლად წვავდნენ.

ისლამისტური ტერორისტული დაჯგუფება „ბოკო ჰარამის“ ტერაქტების შედეგად ბოლო სამ თვეში 800-ზე მეტი ნიგერიელი დაიღუპა. (ნიუპოსტი)

# მოსამართლეების ულტიმატუმი პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს

## რას აპირებენ ადვოკატები და არასამთავრობოები?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



პირველ თებერვალს მართლმსაჯულების სახლთან, მოსამართლეთა კონფერენციის პარალელურად, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ წევრმა ორგანიზაციებმა აქცია გამართეს. მათ იუსტიციის საბჭოს რეფორმირება მოითხოვეს და გასული წლის დეკემბერში მოსამართლეთა დანიშვნა გააპროტესტეს. მათი თქმით, გაზაფხულზე იწყება მეორე ეტაპი. აქციას შეუერთდნენ „საია“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“.

**საპელაციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშნული ლევან მურუსიძე ისევ დაჟინებით ამტკიცებს, რომ გირგვლიანის საქმეში არ ტყუის და მზადაა, ამ თემაზე დაინტერესებულ პირებთან ისაუბროს და საზოგადოებას სწორი ინფორმაცია მიაწოდოს. მურუსიძესთან დალაპარაკებას არავინ აპირებს, მან მკვლელებს მიუსაჯა თითქმის „არაფერი“ მაშინ, როცა ერთი პურისა თუ ძეხვის მოპარვის გამო არასრულწლოვნებს უსჯიდნენ 9-10 წელს. მოსამართლეთა კონფერენციამ მოგვიანებით სპეციალური მიმართვა გაავრცელა (რაზეც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ), სადაც წუხილს გამოთქვამენ, ნუ გვლანძღავთ, ჩვენ ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები გახლავართო, მაგრამ, როგორც ზაზა ხატიაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, რიგგარეშე კონფერენცია სინამდვილეში სულ სხვა მიზნით ჩატარდა:**

– ისინი შეიკრიბნენ, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოიპოვოს მოსამართლეთა კონფერენციის მხარდაჭერა. თამარ ალანიას, რომელიც იყო გვანცა ყუფარაძის საქმის მოსამართლე, ერთ თვეში გასდის ვადა. კიდევ ერთს – ზაზა მეიშვილს, გირგვლიანის საქმის მოსამართლეს, ასევე, გასდის ვადა. ახლა ხდება ზუსტად ის, რაც მოხდა ლევან მურუსიძის შემთხვევაში. ახლა კონფერენციამ იუსტიციის საბჭოს უნდა დაუჭიროს მხარი, რომ ეს დამნაშავე მოსამართლეები და სხვა ოდიოზური ფიგურებიც ისევ გადანიშნონ მოსამართლეებად. აი, ასეთ ბინძურ რაღაცას აპირებენ. საზოგადოებისთვის მიუღებელი პიროვნება მოსამართლედ არ უნდა დაინიშნოს. ახლა ესენი ცდილობენ, მოსამართლეთა კონფერენციას მურუსიძის დანიშვნა „გააპრავებინონ“, ტაში დააკვრევინონ და ისევ გააგრძელონ ოდიოზური ფიგურების ხელახლა დანიშვნა. მოსამართლეთა კონფერენცია დეკემბრის ბოლოს ჩატარდა და დაახლოებით თვე-ნახევარში ისევ მოიწვიეს, ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს, სადღაც წელიწადში ერთხელ იწვევდნენ ხოლმე.

**— რეგლამენტით არის გათვალისწინებული, რამდენ ხანში უნდა ჩატარდეს?**

– არა, ეს კანონით არ არის განსაზღვრული, მაგრამ თვენახევარში ორჯერ არასოდეს არ ჩატარებულა. ახლა მურუსიძეები ამ ხალხს როგორც უნდათ, ისე დაარბენინებენ.

**— ზაზა, შედეგი რა არის ამ აქციის? როცა მურუსიძეს ნიშნავდნენ, არც მაშინ დაგიკლიათ ხელი, აქციებიც გამართეთ, მაგრამ შედეგი იყო ნული, მურუსიძე ისევ მოსამართლეა.**

– მთელი საზოგადოება უნდა გაერთიანდეს, ჩვენ იუსტიციის საბჭოს წევრები უნდა ვაიძულოთ, რომ წავიდნენ. პროკურატურამ უნდა გამოიძიოს ჩემი საჩივარი, რომელიც ადასტურებს, რომ გოცირიძე, სოფრომაძე და თორდია შევიდნენ მურუსიძეებთან ბინძურ გარიგებაში. ასევე, პარლამენტმა უნდა შექმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც ამ ფაქტებს შეისწავლის. ბიძინა ივანიშვილი გვიკეთებს სრულ იგნორირებას და ეს არის სირცხვილი. უნდა ვიბრძოლოთ, სააკაშვილის წინააღმდეგ რომ არ გვებრძოლა, ის დღეს ისევ ხელისუფლებაში იქნებოდა!






მართლმსაჯულების სახლში შეკრებილმა მოსამართლეებმა მიიღეს სპეციალური მიმართვა. ისინი საზოგადოებასა და ხელისუფლებას უმტკიცებენ, დღეს სწორედ სასამართლომ უნდა იკისროს ავანგარდის როლი და არავის დაანებოს სასამართლოს ჯერ კიდევ მყიფე დამოუკიდებლობის ნგრევაო. საოცარია პირდაპირ, ადამიანები, რომლებიც სასამართლო სისტემას ანგრევდნენ მთელი 10 წლის განმავლობაში, ახლა ამბობენ, ამას არავის დავანგრევინებთო.

ამბობენ, მიუღებლად მივიჩნევთ მოვლენებს, რომლებიც უკავშირდებოდა კონკრეტული მოსამართლეების წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას, მათ ლანძღვასა და ხალხის მტრებად წარმოჩინებასო. ძალიან სწყენიათ, რომ კამპანიაში ჩაერთო საქართველოს პრეზიდენტიც, რომლის მოქმედებებიც უნდა შეფასდეს, როგორც ლევან მურუსიძის დანიშვნის საკითხზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის გამიზნული ნაბიჯი და ამ გზით საბჭოზე ირიბი ზეგავლენის მცდელობაო და პარლამენტის თავმჯდომარესაც გადაწვდნენ, კონკრეტული მოსამართლის დანიშვნის გამო გადადგომისკენ როგორ მოგვიწოდაო.

ეს უკვე სერიოზული ულტიმატუმია. მოსამართლეთა კორპუსი უპირისპირდება თითქმის ყველას – საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორს, პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტსა და პრეზიდენტსაც კი. ცხადია, არ შეიძლება ამ ქვეყანაში ყველა იყოს მტყუანი და მხოლოდ შენ იყო მართალი. თან იმ დროს, როცა აღიარებ, შემეშალა, ზეწოლა იყო, მაგრამ უნდა გვაპატიოთო. როგორც ზაზა ხატიაშვილი ამბობს „ალიასთან“, არ იქნება არანაირი პატიება, ბრძოლა გაგრძელდება უკომპრომისოდ მანამ, სანამ დამნაშავეები არ მოსცილდებიან სასამართლოს.

2 თებერვალი უფრო სკანდალური აღმოჩნდა, ვიდრე კონფერენციის ჩატარების დღე. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა ახვლედიანმა გაავრცელა განცხადება, რომ იუსტიციის საბჭოს წევრებმა წინასწარ დაურიგეს კითხვარები კონკურსანტებს და ასე დაინიშნენ მოსამართლეებად. მისი თქმით, საგამოცდო ტესტები განეკუთვნება იმ კატეგორიის დახურულ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. ერთ-ერთმა კანდიდატს, ტესტურ გამოცდაზე მიუღია მაქსიმუმი (100) ქულა. მეტიც, ზოგიერთი კანდიდატის წერითი კაზუსების ამოხსნა, აბსოლუტურად, სიტყვასიტყვით ემთხვევა წერითი კაზუსის ავტორის მიერ დაწერილ კაზუსის ამოხსნის ოფიციალურ ვერსიას, რითაც დარღვეულია მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტებისა და კაზუსების კონფიდენციალურობის წესი... თუკი მამუკა ახვლედიანის ბრალდება დადასტურდება, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა დაიშალოს იუსტიციის საბჭო და დაიწყოს გამოძიება. ამ ფაქტს გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი და აღნიშნა, რომ ეს არის საგანგაშო. პრინციპში, საგანგაშოა ყველაფერი, რაც ხდება ქართულ სასამართლოში და ისიც, რომ, ფაქტობრივად, ეს სასამართლო რჩება სააკაშვილ-ადეიშვილის გავლენის სფეროში. მეტიც, თეა წულუკიანს ერთი ცოტა ნორმალური იდეა ჰქონდა და აქაც დაყარა ფარ-ხმალი: „დიახ, მე ვიხევ უკან, რადგან თქვენ, ვენეციის კომისია და ევროპარლამენტი ერთ აზრზე ხართ. გამოსაცდელი ვადა არ დაუწესდებათ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომლებმაც 10 წელი სასამართლო სისტემაში უკვე იმუშავეს და ახლა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ისინი ხელახლა გაამწესა“.

ტაში, ამხანაგებო! ლევან მურუსიძე, რომელიც თითქოს 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით გაამწესეს სააპელაციო სასამართლოში, ავტომატურად ხდება მუდმივად დანიშნული. გილოცავთ!

**თეა წულუკიანს ერთი ცოტა ნორმალური იდეა ჰქონდა და აქაც დაყარა ფარ-ხმალი: „დიახ, მე ვიხევ უკან, რადგან თქვენ, ვენეციის კომისია და ევროპარლამენტი ერთ აზრზე ხართ. გამოსაცდელი ვადა არ დაუწესდებათ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომლებმაც 10 წელი სასამართლო სისტემაში უკვე იმუშავეს და ახლა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ისინი ხელახლა გაამწესა“.**

## „როგორც იქნა, მოვხვდი იმ „მონარჩენ“ ადამიანთა სიაში“ — რამ აღაშფოთა თამრიკო ჭოხონელიძე



მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე სოციალურ ქსელში ოპერის თემას ეხება და იმ კრიტერიუმებს ვერ ითავისებს, რომლის მიხედვითაც მოხდა სტუმრების დაპატიჟება ოპერის გახსნის დღეს. მიუხედავად ამისა, დიდი სიამოვნებით მიიღო დაგვიანებული მიპატიჟება და გეგმავს, აუცილებლად ეწვიოს ადგილს, რომელსაც ყოველთვის გულშემატკივრობს.

– როგორც იქნა, მოვხვდი იმ „მონარჩენ“ ადამიანთა სიაში, ვინც ოპერაში დაპატიჟეს... პირველ დღეებში, აბა, სად იყო ჩემისთანა „არაელიტარული“ (მაგრამ მაინც მუსიკოსების) ადგილი?! ტელევიზიიდან ითქვა: იქ მოხვდებიან ის ადამიანები, ვინც ამის ღირსიაო... ჰო, ალბათ, ასე ფიქრობენ და განსჯიან დღევანდელი „მსაჯულები“... ვერაფერს იტყვი!.. დასანანი ერთია მხოლოდ, ვფიქრობ, არ იყო ლამაზი ასეთი „სელექცია“! კრიტერიუმებმა გამაკვირვა...

მომიტევეთ, მაგრამ იქ იყვნენ ის ადამიანებიც, ვინც ამ ნაწარმოების მესამე მთავარ პერსონაჟსაც ვერ დაგისახელებდნენ, არა თუ მის მუსიკალურ მხარეს გაგიშიფრავდნენ... ასე რომ, ძალიანაც ნუ გავიგიჟებთ თავს, რომ იქ სწორედ ის „ელიტა“ იყო, ვინც უნდა ყოფილიყო და ვისაც კარგად ესმის ოპერა!.. იმედია, გამიგებთ, რატომ დამწყდა გული... აუცილებლად წავალ... ძალიან მიყვარს ეს ოპერა, მით უმეტეს, რომ ძალზე ვგულშემატკივრობ ზოგადად ქართულ ოპერას, თითოეულ ნიჭიერ მომღერალს და ყოველთვის ვიქნები იმ გულშემატკივართა რიგებში, ვინც შეუპოვრად იდგება და იბრძოლებს ქართული კულტურის, ქართველთა გემოვნების ზრდისა და ზოგადად ქართველების წარმატებების სადარაჯოზე! – წერს თამრიკო ჭოხონელიძე სოციალურ ქსელში. (ნიუპოსტი)

## რამდენი ადამიანი უნდა დაიღუპოს მერიისა და საკრებულოს ამჩემფეხებობის გამო?!

ქავთარაძის ქუჩაზე, მრავალსართულიანი მშენებარე კორპუსიდან მამაკაცი გადმოვარდა. როგორც სასწრაფო-სამედიცინო სამსახურში აცხადებენ, მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო. როგორც შსს-ში აღნიშნეს, საქმე 240-ე მუხლით აღიძრა, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. (ინტერპრესნიუსი)

# ახალაიას საქმის „ოქროს მოწმე“ და დაზარალებული დევნილები — 5 ბინა ჩვენების სანაცვლოდ



იურისტი ვალერი გელბახიანი შს მინისტრს მიმართავს და ერთი კონკრეტული საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

როგორც გელბახიანი აცხადებს, საქმე ეხება ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის ე.წ. „ოქროს მოწმე“ კახაბერ დაბრუნდაშვილს, რომელმაც, გელბახიანის თქმით, ახალაიას წინააღმდეგ მიცემული ჩვენების სანაცვლოდ საცხოვრებელი ფართი მიიღო.

გელბახიანი ამბობს, რომ დაბრუნდაშვილმა და მისი ოჯახის წევრებმა ერთდროულად 5 ბინა მიიღეს და ეს ბინები დევნილებისთვის შვეიცარიულმა მხარემ დიდ დიღომში ააშენა.

იურისტის განცხადებით, სახელმწიფო მნიშვნელოვან მოწმეებს უნდა იცავდეს, ოღონდ კანონიერების ფარგლებში, დაბრუნდაშვილმა და მისმა ოჯახმა კი, როგორც გელბახიანი ამბობს, ყოველგვარი კანონისა და პროცედურების გარეშე, ჩვენების სანაცვლოდ უკანონოდ მიიღეს ხუთივე ბინა, რის შედეგადაც დევნილთა ოჯახები დაზარალდნენ.

გელბახიანის თქმით, ამ საქმით დაინტერესებული არიან შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები, თუმცა ის ამ ეტაპზე გვარების დასახელებისგან თავს იკავებს:

– საქმე ეხება დევნილთა ოჯახების ნაწილს, რომლებსაც დიდი ხანია არ აქვთ საცხოვრებელი ფართი და 2014 წელს თბილისის მერიამ მათ დროებით გამოუყო საცხოვრისი დიდ დიღომში, შვეიცარიელების მიერ აშენებულ სახლში. გამოიტანა თბილისის მერიამ ამის შესახებ დადგენილება და გამოყო საცხოვრებელი ფართები, მაგრამ ამ დღიდან მოყოლებული ამ ხალხმა ვერ მოახერხა ბინებში შესვლა იმის გამო, რომ 5 ბინა დაიკავა ადამიანმა, რომელიც იყო „ოქროს მოწმედ“ გამოყენებული ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. კერძოდ, მისცა ბაჩო ახალაიას საწინააღმდეგო ჩვენება კახაბერ დაბრუნდაშვილმა, რომელიც გამოძიებისთვის მართლაც ღირებული მოწმე იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მართლაც მფარველობს და ვალდებულიცაა კანონით ასეთი მოწმეები იყვნენ დაცული და საცხოვრებელი ადგილითაც კი უზრუნველყონ დროებით, ვიდრე ეს აუცილებელია, ნაცვლად ამისა, სხვა ხერხი გამოიყენა შსს-მ და პრაქტიკულად, მისცა საშუალება, რომ შეჭრილიყო საცხოვრებელში, – აცხადებს ვალერი გელბახიანი.

რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, იურისტი ამბობს, რომ სასამართლოს გამოტანილი აქვს დაბრუნდაშვილების ოჯახის გამოსახლების გადაწყვეტილება, თუმცა აღსრულება უკვე 2 წელია არ ხდება.

– ამ დევნილებმა იჩივლეს სასამართლოში, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, მისცა აღსრულებაში, დავალება მისცა შსს-ს, რომ გამოესახლებინა ეს ხალხი იქიდან. მაინც 2 წლის განმავლობაში ჭიანურდება. წერილები წერილებზე მოდის, რომ ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, – აცხადებს ვალერი გელბახიანი. (პირველი რადიო)

# რას უპირებს თბილისის მერია ტაქსებს?

## როდიდან უნდა დაიწყოს რეგისტრაცია და რა პროცედურები იქნება ამისთვის საჭირო?

ნინო ლაზარტყავა
571 99-92-33



**თბილისის მერია დედაქალაქში მომუშავე ტაქსების რეგისტრაციას იწყებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, აღრიცხვიანობასთან ერთად საუბარია ტაქსების ლიცენზირების საკითხზეც, რაც, სავარაუდოდ, ტაქსის მძღოლებისთვის კონკრეტულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული.**

**„ალია“ დავით ნარმანიას მოადგილე ირაკლი ლექვინაძეს დაუკავშირდა იმის გასარკვევად, რას აპირებს რეალურად მერია ამ საკითხთან დაკავშირებით?**

**— ტაქსებთან დაკავშირებით ორი სახის ინფორმაცია ვრცელდება: მერია ტაქსების ლიცენზირების საკითხზე მუშაობას იწყებსო და მეორე მხრივ, მერია აპირებს თბილისში მომუშავე ტაქსების აღრიცხვასო. იქნებ დაგვიზუსტოთ, რას აპირებს მერია?**

– ლიცენზირების საკითხი არანაირად არ დგას, საუბარია მხოლოდ რეგისტრაციაზე, რაც მხოლოდ აღრიცხვას გულისხმობს.

**— როდიდან უნდა დაიწყოს რეგისტრაცია და რა პროცედურები იქნება ამისთვის საჭირო?**

– ეგ საკითხები, ანუ სარეგისტრაციო პროცესი როგორი იქნება, ეს უკვე მუშავდება და დეტალებს შემდეგში გეტყვით, როცა ეს პროცესი დასრულდება.

**— რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ტაქსის მძღოლი?**

– საუბარია მხოლოდ იმაზე – ვინ არის მძღოლი, რომელი მანქანა ტაქსაობს და ვის მფლობელობაშია ის ავტომობილი. აი, ეს სამი ძირითადი კრიტერიუმი იქნება და რეგისტრაციის პროცესი მათზე აეწყობა.

**— ტაქსების ტექდათვალიერების საკითხს თუ დააყენებთ?**

– ეს არ არის ჩვენი თემა, ჩვენი კომპეტენცია, რომ ტექდათვალიერება განვახორციელოთ და ამ ეტაპზე ეგ საკითხი არ განიხილება.

**— თბილისში ვინც ტაქსაობს, მათ თავად უნდა მოგმართონ რეგისტრაციის გასავლელად, როგორ მოხდება ეს, სად უნდა გაიარონ რეგისტრაცია?**

– აი, მაგის შესახებ აუცილებლად გაიგებთ მაშინ, როდესაც უფრო დაზუსტებულები ვიქნებით.

**— რაიონებიდან თბილისში სატაქსაოდ ჩამოსულ პირებთან დაკავშირებით რას გვეტყვით? მათ თუ ექნებათ რეგისტრაციის აქ გავლის უფლება?**

– თბილისში ძალიან ბევრი ადამიანია შემოსული, ვინც აქ ეწევა აღნიშნულ საქმიანობას და ვინც თბილისის ტერიტორიაზე ახორციელებს ტაქსის სერვისს, ყველა უნდა იყოს რეგისტრირებული, ამაზეა საუბარი.

აღნიშნული თემის ირგვლივ, თბილისის მერის მოადგილესთან ჩვენ კიდევ გვქონდა სხვა კითხვები, მაგალითად, შეეხება თუ არა რაიმე შეზღუდვა მარჯვენასაჭიანი მანქანების მფლობელ ტაქსის მძღოლებს? ვინც რეგისტრაციას არ გაივლის, მათ ტაქსაობის უფლება აღარ ექნებათ? დაწესდება თუ არა სანქცია რეგისტრაციის გარეშე ტაქსაობისთვის? თუმცა ამ და სხვა დეტალებზე დამატებითი ინფორმაციის მოწოდებაზე ირაკლი ლექვინაძემ თავი შეიკავა, – საკითხი დამუშავების პროცესშია და დანარჩენს შემდეგში მოგახსენებთო.

რა იციან აღრიცხვასთან დაკავშირებით ტრანსპორტის პროფკავშირებში?

**„ალიას“ ტრანსპორტის პროფკავშირების ხელმძღვანელი ლავრენტი ალანია ესაუბრა:**

**— თბილისის მერია ტაქსების აღრიცხვას იწყებს. ვიცე-მერმა ლექვინაძემ ბევრი ვერაფერი გვითხრა, საკითხი დამუშავების პროცესშიაო. თქვენ თუ გქონდათ ამ საკითხზე ვინმესთან საუბარი, დაახლოებით რა ფორმით აპირებენ ამის გაკეთებას?**

– რამდენიმე წლის წინათაც და ახლაც, როდესაც ბოლოს შეხვედრა გვქონდა ლექვინაძესთან – დავაყენეთ საკითხი: ჯერ აღვრიცხოთ, რამდენი ტაქსტი მოძრაობს დედაქალაქში. ეს მერე დასაყოფია კატეგორიებად: არის ტაქსი, რომლის მძღოლსაც მანქანა დაქირავებული ჰყავს, არის მძღოლი, რომელიც სხვა სამსახურშია დასაქმებული და პარალელურად ეწევა მგზავრგადაყვანას; და მესამე – მანქანა მისია, ყიდულობს ტრაფარეტს და ტაქსაობს. შემდეგ უნდა მოხდეს სქემის განსაზღვრა, როგორი სისტემით უნდა იმუშაონ. არის გერმანული, ამერიკული, ევროპული სისტემა და გამოცდილება, რომ, მაგალითად, ერთ დღეს ლუწნომრიანები ტაქსაობენ, მეორე დღეს – კენტნომრიანები. ასე ერთი ხელის აღებით ვინმემ ტაქსები ერთ თვეში აღრიცხოს, ეს აბსურდულია. ფაქტობრივად, ეს რევოლუციას გამოიწვევს. როგორ შეიძლება, ადამიანს აუკრძალო 2-3 ლარის შოვნა, რომ ოჯახი გამოკვებოს? დამატებით რომ ასრულებს ამ სამუშაოს, ამას იმიტომ აკეთებს, რომ არ ჰყოფნის ის ხელფასი, რაც მას სხვაგან აქვს, თუკი ასეთი რამ საერთოდ გააჩნია. თქვენ წარმოიდგინეთ, ავტობუსისა და მიკროავტობუსის მძღოლები სამსახურიდან დასვენების დღეს ტაქსაობენ. იმას, რასაც მერია გეგმავს, მინიმუმ, სამი წელი სჭირდება – ინფორმაციის მოპოვებას, დადგენას და შემდეგ გამოსავლის პოვნას. ისე რომ მოუნდა მერიას და მოდი, ეს შევცვალოთ და ამით დედაქალაქში საცობი მოისპობა და თბილისი ეკოლოგიურად სუფთა იქნება – ეს არის აბსურდი.

არის მეორე ვარიანტი: თუ ეს კეთდება იმისთვის, რომ ვიღაცისთვის ეს ბაზარი სუფთავდება, ეს კიდევ ცალკე თემაა. ჩვენ აქტიურად ჩავერთვებით ამ პროცესში და გავაკონტროლებთ. 50 ათასი ტაქსი დადის თბილისშიო, რომ ამბობენ, რატომ 60-70 ათასი არ არის? ვინმემ დაადგინა ეს მერიაში? არა! მოდი, დავადგინოთ, რადგან აქ არა მარტო თბილისელი, არამედ სხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანებიც ტაქსაობენ. მე ვიცი, რომ ადამიანები ქუთაისიდან ჩამოდიან, ვაგზალზე ათენებენ და დილით ისევ ტაქსაობენ.

**— როდის შედგა თქვენსა და მერიას შორის შეხვედრა და კიდევ რაზე ისაუბრეთ?**

– სანამ ის შეხვედრა შედგებოდა, მანამდე. მერიასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოვთქვით, რომ მოწესრიგდეს ტრანსპორტის რეგულაცია თბილისში. ეს მხოლოდ ტაქსებს არ ეხებოდა, საუბარი იყო ასევე ტრანზიტით შემოსულ მანქანებზე, რომელიც ხელს უშლის მოძრაობას და საცობების შექმნას უწყობს ხელს. დაზუსტებით რომ გავიგებთ, რას ემსახურება ეს მათი პროექტი, ამის შემდეგ ყველაფერს პასუხი გაეცემა, ალბათ.

**— ლექვინაძემ თქვა, რომ თბილისში მომუშავე ყველა ტაქსი, მათ შორის რაიონებიდან ამ მიზნით ჩამოსული მანქანები და მძღოლები, უნდა იყოს აღრიცხული. ანუ ვინც რეგისტრაციას არ გაივლის, მათ მუშაობა აეკრძალებათ?**

– მე რეგისტრაციას თუ არ გავივლი, მაშინ ამეკრძალება, დიახ, აბა, რა გამოდის? მერიამ დაგვიდოს, თუ რა მიზნებს ემსახურება ეს? რა გვაქვს მომავალში განსაზღვრული? თუ ევროკავშირის მოთხოვნების შესრულებაზე გადავდივართ, მაშინ წინ კიდევ სამი წელი გვაქვს და სიმართლე გითხრათ, ამათ უკვე დააგვიანეს. ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხდეს. მაგალითად, დღეს მე მყავს „გაზ-24“-ი, ამით ვტაქსაობ, მაგრამ ევროკავშირის მოთხოვნები და დირექტივები ითვალისწინებს იმას, რომ მანქანა სხვა ტიპის უნდა იყოს. მაშინ ვადა უნდა მომეცეს, რადგან ერთ წელიწადში ადამიანი მანქანას ვერ შეცვლის, ან კრედიტი უნდა აიღოს, ან სახლი დააგირაოს ბანკში და ასე შემდეგ. ჩვენ ეს კითხვები გვაქვს მერიასთან და უნდა გაგვცენ ამაზე პასუხი.

**— რა მოლოდინები გაქვთ? მერია გაითვალისწინებს თქვენს რჩევებსა და წინადადებებს?**

– სხვა გზა აქვს რო? და თუ არ გაითვალისწინა, მე და სრულიად საქართველოს პროფკავშირი ყოველთვის დავდგებით იმ დასაქმებული ადამიანების გვერდით, ვისაც ეს პრობლემები შეეხება. არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, რაც მოხდება, ის მოხდება.



ლავრენტი ალანია

ირაკლი ლექვინაძე

# „მაცაცო“ პოლიტიკოსებს ემუქრება: „პატივცემულო დეპუტატებო, გავიწყდებათ თქვენი სექსთავგადასავლები?!“



„ლგბტ“ უფლებადამცველმა გიორგი ტატიშვილმა სააგენტო „ემპრესს“ განცხადებით მიმართა და განაცხადა, რომ უკვე რამდენიმე დღეა მთავრობის გარკვეული წრეებიდან მასზე მუქარა ხორციელდება.

– მე, გიორგი ტატიშვილი, როგორც „ლგბტ“ უფლებადამცველი და საკონსტიტუციო სარჩელზე მოსარჩელე მხარე, საქართველოს მთავრობას მოვუწოდებ, თავი დაანებოს ჩემ მიმართ მიმართული მუქარის ღონისძიებებს, რომელსაც ის ახორციელებს უკვე არაერთი დღეა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სარჩელით მივმართე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ასევე, მინდა გამოვეხმაურო რიგი პოლიტიკოსებისა და პარლამენტის დეპუტატების მიერ გავრცელებულ განცხადებებს და მსურს აღვნიშნო, რომ მათი გამოსვლები არის პოპულისტური და ემსახურება ერთადერთ მიზანს – მოახდინონ საკუთარი რეიტინგების ამაღლება, მაგრამ მათ გასაგონად მსურს, განვაცხადო, რომ რაც არ უნდა რეიტინგები მაღლა აგივარდეთ, პატივცემულო დეპუტატებო, ალბათ, გავიწყდებათ თქვენი სექსთავგადასავლები და ისტორიები, რომელსაც მთელი თქვენი კარიერისა და რეიტინგების განადგურება შეუძლია.

თქვენ, ალბათ, გავიწყდებათ ყოველივე ზემოაღნიშნული და ნუ ცდილობთ ჩემს გაკრიტიკებას და ჩემთვის ტალახის სროლას, რადგან ეს შესაძლოა, ბუმერანგივით უკან დაგიბრუნდეთ. საქართველოს პარლამენტის ამ შემადგენლობის დაშლა მხოლოდ რამდენიმე ვიდეომტკიცებულებით არის შესაძლებელი და მე ვფიქრობ, მათი მოქმედებები ჩვენს შორის ომის დაწყების საფუძველი გახდება, რისგანაც ამ ეტაპზე თავს ვიკავებ. ასევე, მინდა განვაცხადო, რომ უამრავი პოლიტიკური ფიგურა ცდილობს ჩემ მიერ სარჩელის შეტანაში დაინახოს გარკვეული პოლიტიკური ზრახვები ან ჩემს უკან ამოიცნოს პოლიტიკური პარტიები და სუბიექტები. მათ გასაგონად მინდა განვმარტო, რომ სარჩელი შეტანილია ჩემს მიერ და მისი არც შედგენა, არც წარდგენა და არც სხვა რაიმე გადაწყვეტილება არ არის შეთანხმებული და დაგეგმილი რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ან სუბიექტთან. შესაბამისად, მათი განცხადებები არის უბრალო დეზინფორმაცია და პოპულიზმი.

2016 წლის მაისამდე დაგეგმილია კიდევ 3 საკონსტიტუციო სარჩელის შეტანა, რომელიც გამოიწვევს მწვავე დისკუსიას, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ექნება სრული დამოუკიდებლობის მანდატი, რაც ასე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებების მიღებისთვის. დაბოლოს, მინდა საქართველოს პრეზიდენტს კიდევ ერთხელ მოვუწოდო, უზრუნველყოს ჩემთვის შესაბამისი დაცვის მექანიზმების გამოყენება ჩემი პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, – აცხადებს გიორგი ტატიშვილი. (ნიუპოსტი)

# მიშა მესხის პირველი კომენტარი სკანდალური ვიდეოს შემდეგ



23 იანვარს დილიდან სრულიად სოციალური ქსელი ააფეთქა გავრცელებულმა ვიდეომ, რომელზეც ასახული იყო ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ ბორისპოლის აეროპორტში მყოფი მიშა მესხი მეგობართან ერთად. მსახიობი ვიდეოსთან დაკავშირებით პირველ კომენტარს აკეთებს:

– მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც, ამ ბოლო დღეებში, მხარს მიჭერდა. უფრო მეტად კი იმ ხალხის მადლობელი ვარ, ვინც ყურადღება გამოიჩინა, გაჭირვებისას მიპატრონა, დამეხმარა და გადამარჩინა. დიდ ბოდიშს ვუხდი ჩემს ოჯახს იმისთვის, რაც ნახა და გადაიტანა; მადლობა ღმერთს, რომ გადამარჩინა. დიდ ბოდიშს ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც ამავე პრობლემის გამო საყვარელი ადამიანები დაკარგა, რადგანაც ვიცი, რომ ამ ვიდეოს ყურების შემდეგ ყველაფერი გაგახსენდათ, გაგიახლდათ მათი დანაკლისით გამოწვეული ტკივილი, მაპატიეთ... ვფიქრობ, რომ ადამიანის პირად ცხოვრებაში სხვები არ უნდა ერეოდნენ, თუმცა, მეორე მხრივ, ამგვარი ინტერესი ბუნებრივია როცა საქმე „ცნობად სახეს“ ეხება. ამიტომაც ამას ვერავის ავუკრძალავ. ჩემი სისუსტეები არასდროს დამიმალავს, მათი გამომწვევი მიზეზებია: უიმედობა, დეპრესია, როცა არაფერი გაქვს საკეთებელი, როცა არავის სჭირდები. სინამდვილეში, ჩემს ცხოვრებას, რამდენიმე ახლობელი ადამიანის გარდა, არავინ იცნობს, ისინი ყველაზე მეტად განიცდიან ჩემს მდგომარეობას. ალბათ, ღვთის ნება იყო, რომ გადავრჩი. გაფრენის წინა დღეს ეკლესიაში ვიყავი და ვნახე პატრიარქი, მოვუყევი ის, რაც მაწუხებდა, დამლოცა და მითხრა, რომ ხშირად მელოცა. მასთან რომ არ მივსულიყავი, ეს ამბავი, ალბათ, სხვანაირადაც დამთავრდებოდა...

აქვე, დიდ მადლობას ვუხდი ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს რეაბილიტაციის კურსის შემოთავაზებისა და დახმარებისთვის. მე მინდა ამ პრობლემის დაძლევის მაგალითი ვაჩვენო ჩემს მეგობრებს და სხვა ადამიანებს. იმედი მაქვს ამას შევძლებ. აბა, თქვენ იცით, ვეცდები, სხვა დროს მხოლოდ კარგ ამბებზე გელაპარაკოთ, თუმცა, რამე ცუდი თუ მომივა, იცოდეთ, ძალით არ ვაკეთებ და მართალია, შეცდომის დაშვება არასასურველია, მაგრამ ეს ჩემი უფლებაა... (ნიუპოსტი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



# ბიძინა ივანიშვილი აღშფოთებული ყოფილა...

## რა უთხრა მილიარდერმა ღარიბაშვილს ერთსქესიანთა ქორწინების საწინააღმდეგო განცხადებაზე?



„ლგბტ“ პირების უფლებების დამცველმა, ადვოკატმა გიორგი ტატიშვილმა, რომელიც ადრე ტრანსგენდერ „მაცაცოდ“ იყო ცნობილი, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომლის მოთხოვნაა, სასამართლომ ძალადაკარგულად ცნოს სამოქალაქო კოდექსის ის ნორმა, რომლითაც განმარტებულია, რომ „ქორწინება ქალისა და მამაკაცის ერთობაა“. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ გიორგი ტატიშვილის ეს სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაშინ ეს ნორმა დროებით შეჩერდება, სანამ საკონსტიტუციო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

მოსახლეობის უმეტესობა ამ სიმახინჯესთან ცოცხალი თავით არ აპირებს შეგუებას და ეს, სულ მცირე, სერიოზულ სამოქალაქო დაპირისპირებას გამოიწვევს. რაც არ უნდა მოხდეს, ამ ყველა მოსალოდნელი უბედურების თავი და თავი მაინც ჩვენი ბელი მრევლი ეწინააღმდეგებოდა.

„ალიას“ წყარო აცხადებს, რომ ივანიშვილს ამ საკითხზე აქტიური კონსულტაცია აქვს საპატრიარქოსთან. საპატრიარქოს გეგმის ერთი ნაწილი ის ყოფილა, რომ დასავლეთის ზეწოლის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლო დაარწმუნონ, რომ სამოქალაქო კოდექსის ნორმა არ გააუქმონ, მაგრამ თუ ამას მაინც გააკეთებენ, პარლამენტის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭიროს. მით უმეტეს, ამ ნორმის გაუქმების წინააღმდეგნი უმცირესობის წევრებს შორისაც მრავლად ყოფილან.

გეგმის მეორე ნაწილი ყოფილა, სამოქალაქო დაპირისპირება აიცილონ თავიდან, მართლმადიდებელი მრევლი არ გამოენთოს „ლგბტ“-ებსა და მათ მხარდამჭერებს და სისხლი არ ანთხევინოს. ქართული ეკლესიის მესვეურნი, მრევლი ცოცხალი თავით არ აპირებენ ამ სიმახინჯის ან დაკანონებას, ან მასთან შეგუებას, მათ უმართავი პროცესები სამართლიანობა აღდგება და დანაპირებებსაც ნაწილობრივ მაინც შეასრულებს, თუნდაც არჩევნებზე დამარცხების შიშით. რას ვიზამთ, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრნი არიან ზედმეტად მიმნდობი ადამიანები...

„პედერასტებისა“ და „ლესბიანკების“ ერთმანეთზე დაქორწინების საკითხი თუ დაკანონდა, შემდეგ ბავშვების შვილად აყვანის უფლებებისთვისაც იბრძოლებენ და აქაც თავისას გაიტანენ, თუ ქართველი ხალხი არ დაუდგა მათ მედგრად. ამის შემდეგ უკვე ეს ერთსქესიანები ეკლესიაში ჯვრისწერის უფლების მოსაპოვებლად იბრძოლებენ. სწორედ ეს გზა გაიარეს იმ ქვეყნებმა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებულია. მოკლედ, თუ რაიმე წმინდა დაგვრჩა, ესენი ყველაფრის წაბილწვას აპირებენ. ამ მოახლოებულ საშინელებას კი, ცხადია, უპირველესად ქართველი ხალხი უნდა აღუდგეს წინ, მაგრამ ხალხს ხელისუფლებისგან ზურგი სჭირდება და ეს ზურგი ჯერ არ ჩანს. რაც „ნაციონალებ-ფლებიდან ჯერ არავის დაუფიქსირებია ამგვარი პროტესტი უშუალოდ ივანიშვილთან. არა, შესაძლოა, ბევრს დღე და ღამე არ სძინავს დარდით, მაგრამ „ალიას“ წყაროები აცხადებენ, რომ მათ არანაირი პროტესტი ივანიშვილთან არ დასცდენიათ. მართალია, ამის უტყუარობაზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ სიმართლე ალბათ მალე გამოჩნდება.

გარდა მაღალი სახელისუფლებო რანგის ლიდერებისა, აღრენილნი ყოფილან „ქართული ოცნების“ რეგიონული და რაიონული ოფისების ხელმძღვანელები, პარტიის სხვადასხვა დონის ლიდერები. თუ გიორგი ტატიშვილის სარჩელი საკონსტიტუციომ წარმოებაში მიიღო, ამ ხალხის დიდი ნაწილი აპირებს პარტიის დატოვებას, რადგან არავის უნდა, იმ პარტიის წევრი, მით უფრო, რაღაც დონის ლიდერი იყოს, რომლის მმართველობისას ამ საშინელებას ჩაიდენს. გამოდის, ეს ხალხი არ ელოდება საკონსტიტუციოს საბოლოო ვერდიქტს, სარჩელის ხელისუფლებაა. ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტიკოსთა ჯგუფი, დიდი ხანია დასავლეთს საკუთარ ჭკუაზე ჰყავს მოქცეული და ამ კი არა, სხვა უბედურებასაც და საშინელებასაც დაუჭერენ მხარს. მიმიფურთხებია იმ ხელისუფლებისთვის, რომლის მმართველობისასაც საქართველოში ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება.

ცხადია, საინტერესოა, რა განწყობაზეა ამ საფრთხის მოახლოების წინ თავად დე ფაქტო მმართველი, ბიძინა ივანიშვილი, რომლის მმართველობის დროსაც პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო. ყოფილი პრემიერის ახლო გარემოცვასთან დაახლოებული წყარო აცხადებს, რომ ივანიშვილი ძალიან აღშფოთებული ყოფილა, რომ საქმე აქამდე მივიდა. არ ვიცი, რატომ აღშფოთდა ახლა ივანიშვილი, როცა ქართული მედიის უდიდესი ნაწილი, პოლიტიკოსები ამ საფრთხის გარდაუვალობაზე დიდი ხანია ვლაპარაკობდით. როგორც წყარო ამბობს, ივანიშვილი ძალიან ნანობს, რომ მას გადააფიქრებინეს საქართველოში ერთდროულად რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა, რომლებიც მისი გეგმით ეროვნულ ნიადაგზე იქნებოდნენ დაფუძნებულნი და დასავლეთიდან დაფინანსებულ „ლგბტ“-ებსა და მათ მხარდამჭერ არასამთავრობოებს დააბალანსებდნენ. ეს რამდენად დასაჯერებელია, ძნელი სათქმელია, რადგან ვიმეორებ, სწორედ ამ პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ეკლესია და მართლმადიდებისა ეშინიათ და ამაშიც სურთ ხელისუფლების მხარდაჭერა, რადგან სახელმწიფოს ამგვარი პროცესების თავიდან აცილების გარვეული ბერკეტები აქვს. პარალელურად, ქადაგებისას მოძღვრები მრევლს მოუწოდებენ, რომ პროვოკაციებს არ აჰყვნენ.

ბიძინა ივანიშვილისთვის ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების საფრთხეს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს. 8 თვეში საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, თუ ამ ხნის მანძილზე საკონსტიტუციო სასამართლომ გიორგი ტატიშვილის სარჩელი დააკმაყოფილა, რაც, ფაქტობრივად, ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება იქნება, „ქართული ოცნება“, რაც შერჩა, იმ რეიტინგსაც დაგარგავს. ქართველმა ხალხმა ბევრი იბრძოლა, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი მოეყვანა ხელისუფლებაში. შემდეგ, „ქართულმა ოცნებამ“ გადააგდო ეს ხალხი, უამრავი დანაპირები არ შეუსრულა, „ნაციონალ“ დამნაშავეთა კოჰაბიტაციაში გალია 3 წელიწადზე მეტი. ჯერჯერობით ისე ჩანს, ამ ყველაფერს ითმენს ხალხი, ისევ იმის იმედით, რომ დამნაშავე „ნაცები“ დაისჯებიან, ქვეყანაში ის“ დროსაც კი ვერ გაბედეს, „ქართული ოცნების“ მმართველობისას სრულად რეალურია, დაიკანონონ ერთსქესიანი ქორწინება მისმა მომხრეებმა. ეს თუ არჩევნებამდე მოხდა, ხომ წარმოგიდგენიათ, ისედაც სახელგატეხილი „ქართული ოცნება“ როგორ გაფარჩაკდება? არჩევნებზე მისთვის ხმის მიმცემი აღარავინ იქნება, გარდა თავად პარტიის უთავმოყვარეო მედროვე წევრ-ლიდერებისა. ამას თურმე კარგად აცნობიერებს ივანიშვილი, ხედავს, რომ პარტიაც თავზე ემხობა, არჩევნებში წარმატების შანსები ხელიდან ეცლება და ქართული პოლიტიკიდანაც ძალიან სამარცხვინოდ შეიძლება წავიდეს, იმაზე უარესადაც კი, ვიდრე სააკაშვილი წაეთრა.

„ალიას“ წყაროები აცხადებენ, რომ პარტიის ზოგიერთმა ლიდერმა ივანიშვილს, როგორც იქნა, გაუბედა და უთხრა, თუ ვერაფერს ვიღონებთ საკონსტიტუციოში შეტანილი სარჩელის შესაჩერებლად, თუ ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდა, მაშინ ჩვენ დავტოვებთ „ქართულ ოცნებასო“. ამ პოლიტიკოსებში რამდენიმე პარტიული ლიდერი ყოფილა. როგორც მითხრეს, აღმასრულებელი ხელისუმიღება და ამ ნორმის შეჩერება მათთვის უკვე საკმარისია, მიატოვონ პარტია.

**და კიდევ ერთი:** თავის დროზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ვიდრე მე ვარ პრემიერი, საქართველოში ერთქესიანთა ქორწინება არ დაკანონდებაო. პრინცპში, ღარიბაშვილმა სიტყვა შეასრულა. ჩვენ გვსურდა მისგან გაგვეგო, როცა ეს განცხადება გააკეთა, რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა, მოუწონა თუ დაუწუნა ეს განცხადება. ასევე, გვაინტერესებდა, ახლა, როცა ერთსქესიანთა ქორწინებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს, ირაკლი ღარიბაშვილი რას აპირებს, ჩრდილში დგომას თუ სოდომგომორის ცოდვის დამკანონებლებთან მებრძოლთა რიგებში დგომას. ღარიბაშვილს ამ ორი საკითხის გამო ტელეფონზე დავურეკე, მაგრამ მას ორივე ნომერი გათიშული ჰქონდა. შესაბამისად, მას შემდეგი შინაარსის სმს-ი მივწერე. „ბატონო ირაკლი, ლევან ჯავახიშვილი გაწუხებთ გაზეთ „ალიადან". 2 კითხვა მაქვს თქვენთან. 1. როდესაც თქვენ პრემიერ-მინისტრის რანგში განაცხადეთ, რომ საქართველოში ვიდრე თქვენ იქნებოდით პრემიერი, ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდებაო, მაინტერესებს, ბიძინა ივანისვილმა მოგიწონათ ეს განცხადება და თავადაც ამ პოზიციაზე იდგა მაშინ? 2. ახლა, როცა ერთქესიანთა ქორწინების საფრთხე რეალობად იქცა, რას აპირებთ?

სამწუხაროდ, ირაკლი ღარიბაშვილისგან პასუხი არ მიმიღია...

**თავის დროზე ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ვიდრე მე ვარ პრემიერი, საქართველოში ერთქესიანთა ქორწინება არ დაკანონდებაო. პრინცპში, ღარიბაშვილმა სიტყვა შეასრულა. ჩვენ გვსურდა მისგან გაგვეგო, როცა ეს განცხადება გააკეთა, რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა, მოუწონა თუ დაუწუნა ეს განცხადება**

# ნატომ რუსული აგრესიის საპასუხო ოპერაციების დაგეგმვა დაიწყო




ნატო რეალურად ემზადება რუსული აგრესიის მოგერიებისთვის. ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები უახლოეს დღეებში შეიკრიბებიან, რათა განსაზღვრონ ახალი ოპერატიული ოპერაციები რუსული აგრესიის შემთხვევაში მისი მოგერიების მიზნით. ამის შესახებ „დოიჩე ველე“ წერს. კერძოდ, მინისტრები გეგმავენ რეაქციის მოდელირებას ნატოზე აღმოსავლეთიდან თავდასხმის შემთხვევაში.

გამოცემა ნატოს პრესმდივნის ციტირებასაც ახდენს:

„თავდაცვის მინისტრები შეიმუშავებენ კრიზისულ მენეჯმენტს. სიმულაციის დროს თავდაცვის მინისტრებმა დროის დეფიციტის პირობებში უნდა გადაწყვიტონ ნატოს რეაგირება, მათ შორის სახმელეთო ძალების განლაგების ნაწილშიც“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ღონისძიებას იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრები დიდ ნაწილს დაუთმობენ ნატოს რეაგირებას ჰიბრიდული საომარი სცენარების განხორციელების შემთხვევაში, დაახლოებით ისეთი, როგორიც იყო განხორციელებული რუსეთის მხრიდან ყირიმის ანექსიის დროს.

აღსანიშნავია, რომ სიმულაციის მიმდინარეობისას რუსეთი არ იქნება მოხსენიებული როგორც აგრესორი, თუმცა ჰიბრიდული ომების მთავარი მწარმოებელი, ყველასთვის გასაგებია, რომ რუსეთია. სიმულაცია 11 თებერვალს ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების ორდღიანი შეხვედრის ბოლოს ჩატარდება. ასეთი გადაწყვეტილება ნატოში იმის გამო იქნა მიღებული, რომ ბევრი წევრი ქვეყნების მხრიდან იყო სურვილი რეალობასთან მიახლოებულ პირობებში ენახათ ნატოს საპასუხო რეაქციების მექანიზმის მუშაობა აგრესიის პირობებში. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სიმულაციები, 2015 წელს გასაიდუმლოებულ პირობებში უკვე ორჯერ ჩატარდა.

ამასთანავე, თურქეთი აფრთხილებს რუსეთს, რომ ის არ შეეგუება რუსეთის მხრიდან საჰაერო სივრცის დარღვევას:

„მე მინდა გავაფრთხილო რუსეთი, მისი პოზიცია სირიის ზომიერი ოპოზიციის მიმართ არის მცდარი. რუსეთი აგრძელებს ჩვენი საზღვრების დარღვევას. ის ბომბავს მშვიდობიან მოსახლეობას. ეს მოქმედებები, საბოლოო ჯამში, არ იქნება რუსეთის სასარგებლოდ. ის მეტწილად საზიანო იქნება. თანამედროვე მსოფლიოში შეუძლებელია რამე დაფარო. არის საზღვრების დარღვევა? – ის ფიქსირდება და თუ არ ხდება საზღვრების დარღვევა, მისი დაბრალება შეუძლებელია. მართალია, საჰაერო სივრცე რუსეთმა ელვისებური სისწრაფით დაარღვია, მაგრამ ის იქნა დაფიქსირებული ნატოს რადარების მიერ. ჩვენ არ ვქმნით დაძაბულობას, პირიქით, ჩვენ მოუწოდებთ რუსეთს, დაიცვას საერთაშორისო ვალდებულებები. რუსეთის ყველა მოქმედება მიანიშნებს მის არაკეთილმოსურნე განზრახვებზე“, – აცხადებს თურქეთის პრემიერ-მინისტრი. (ნიუპოსტი)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მსოფლიოს 7 ყველაზე არაჰიგიენური მამაკაცი



დიდ ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ ერთგვარი „წიკები“, მართალია, ეს ხელს არ უშლიდათ დიდების მიღწევაში, მაგრამ გარშემომყოფებს კი კარგად აწამებდნენ. დღეს ცნობილ ანტიჰიგიენურ კაცებზე ვისაუბრებთ.

– **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი** – კომპოზიტორი არასოდეს იბანდა და შეწუხებული გარშემომყოფების პროტესტზე გულუბრყვილოდ პასუხობდა, რომ წყლის მილები ტყვიას შეიცავდა და მოწამვლის ეშინოდა, თან დასძენდა: „პარანოია არ მაქვს“... თურმე, როცა ეძინა, მეგობრები სამოსს ჰპარავდნენ და ჩუმად ურეცხავდნენ.

– **მაო ძედუნი** – მაოიზმის შემქმნელი არასოდეს ბანაობდა და კბილებს არასოდეს იხეხავდა. ჭუჭყისადმი სიყვარულს კი ასე ხსნიდა – ვეფხვები არასოდეს ბანაობენ და არც კბილებს იხეხავენო. მოდი და ეკამათე...

– **ჩარლზ ჰოვარდი, ნორფოლკის მე-11 ჰერცოგი** – ჰერცოგი საკუთარ სხეულს წყლითა და საპნით არასოდეს შეურაცხყოფდა. ამიტომ მსახურები იძულებულები იყვნენ, ჰერცოგი მაშინ ებანავებინათ ხოლმე, როცა ის ღვინით უგონოდ თვრებოდა.

– **ჰენრი IV, საფრანგეთის მეფე** – მეფე ცნობილი თავისი გამოთქმით გახდა: „მინდა, რომ ყველა ჩემს მოქალაქეს კვირაობით მაგიდაზე ქათამი ჰქონდეს“.

მას კიდევ ერთი ცნობილი ფრაზა ეკუთვნის: „რას გადამეკიდეთ, არ მინდა დაბანა და არც დავიბან“.

იმის გამო, რომ სისუფთავემ ვერ მიპყრო მისი სამეფო ყურადღება, სუნიც შესაბამისი ჰქონდა, პატივცემულს... ლეგენდის მიხედვით, როცა მარია მედიჩი მას, როგორც საქმროს პირველად შეხვდა, ქალმა ჰენრის მამაკაცური ქარიზმისგან გონება დაკარგა. ეს ქარიზმა კი მისი წლობით ნაგროვები სურნელი იყო...

– **ფრიდრიხ მე-2 დიდი, პრუსიის მეფე** – ცნობილია, რომ გენიოსებისა და უჭკუოებისთვის ყველაფერი ნებადართულია. პრუსიის ტერიტორიის ერთი ორად გაფართოების შემდეგ, ფრიდრიხ მეორემ ვალი მოხდილად ჩათვალა და სან-სუსის სასახლეში დასვენება გადაწყვიტა. მის არმიას კი ნებართვა მიეცა, ნაგავი იქ დაეყარა, სადაც სურდა, მოსამსახურეებს კი დალაგების უფლება არ ჰქონდათ. იმასაც ამბობენ, რომ სასახლის ძაღლების ფეკალიები 20 სანტიმეტრსაც აღწევდა. ხოლო, როცა მეფე გარდაიცვალა და პერანგი გახადეს, ქსოვილი ოფლისგან დაშლილი იყო.

– **ჰოვარდ ჰიუზი** – ექსცენტრიკულ მილიარდერსა და ავიაციის პიონერს ჰიგიენის საკითხებში ორმაგი სტანდარტი ჰქონდა. ჰიუზი მოითხოვდა, რომ ყველა ნივთი, რაც მას სჭირდებოდა, ხელსახოცში ყოფილიყო გახვეული და მის თანამშრომლებს ხშირად ებანავათ. თავად კი, მხოლოდ ხელებს იბანდა, ფრჩხილებსა და თმას კი თვეობით არ იჭრიდა.

– **კარლ მარქსი** – სისუფთავე – ეს გადმონაშთია, ამბობდა მარქსიზმის შემქმნელი და გადაწყვიტა ბურჟუაზიული ინფექციის მსხვერპლი არ გამხდარიყო. სამაგიეროდ კანის არაერთი დაავადება კი წარმატებით აიკიდა. ვინაიდან არასოდეს უბანავია, როგორც ჩანს, ეს დაავადებები პრინციპის შენარჩუნებად ულირდა.

***bigpicture.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 5 წლის შემდეგ რობოტები 5 მილიონ ადამიანს უმუშევარს დატოვებს



მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, უკვე 5 წლის შემდეგ ავტომატიზაციისა და რობოტების გამო 5,1 მილიონი ადამიანი უმუშევარი დარჩება.

ეს სახიფათო აზრია, მით უფრო, თუკი ისეთ სამუშაოს ასრულებთ, რომელსაც რობოტი უფრო ეფექტურად და ნაკლები ფინანსური დანახარჯით გააკეთებს. ყოველ შემთხვევაში ასე წერია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 167-გვერდიან მოხსენებაში, რომელიც 2016 წლის იანვარში გამოქვეყნდა და სამუშაო ადგილების მომავალ გადანაწილებას ეხება. მოხსენებაში მოყვანილია რობოტიზაციის გარკვეულ სამუშაო სივრცეზე ზემოქმედების მოდელი. ერთი კია, მონაცემები მხოლოდ აშშ-ს ეხება და იმ ინფორმაციას ეყრდნობა, რომელიც 2014 წელს შრომითი სტატისტიკის ბიურომ დადო.

ამ მონაცემების გაანალიზებით შესაძლოა, შემდეგ დასკვნამდე მივიდეთ: იმ თანამშრომლებს, რომლებიც ოფისებსა და ადმინისტრაციულ სამუშაოზე, ასევე, კვების მრეწველობაში არიან დაკავებული, მეორე პროფესიის ათვისება არ აწყენდათ. იმათ კი, ვინც კონსტრუირებით, მენეჯმენტით, მართვით და ტექნიკითაა დაკავებული, ასევე, მედიცინის სფეროში მომუშავეებს უახლოეს მომავალში სანერვიულო არაფერი აქვთ.

მართალია, რობოტების აჯანყება ხვალ არ მოხდება, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ავტომატიზაცია სამუშაო ადგილების განაწილებაში დიდ ეფექტს მოახდენს.

***alioni.info***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ბიჭმა დედას მასწავლებლის წერილი მიუტანა და აატირა, სიმართლე კი მისი გარდაცვალების შემდეგ გაიგო



ელექტრიფიკაციის სფეროში ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი, თომას ედისონი საკუთარ წარმატებას დედას უმადლოდა, რომელსაც მისი სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა.

ინტერნეტსივრცეში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ისტორია, რომელიც სინამდვილეა თუ მოგონილი არავინ იცის.

ერთხელ, როდესაც პატარა ედისონი სკოლიდან შინ დაბრუნდა, დედას მასწავლებლის წერილი გადასცა. დედამ წერილი გახსნა და უეცრად ტირილი დაიწყო. შემდეგ კი წერილი ხმამაღლა წაიკითხა: „თქვენი შვილი გენიოსია. ჩვენს სკოლას არ აქვს შესაბამისი პროგრამა და არც შესაბამისად კვალიფიციური მასწავლებლები ჰყავს, თქვენს შვილს რაიმე განსაკუთრებული, რომ ვასწავლოთ, ამიტომ შეგიძლიათ სახლში ამეცადინოთ“.

დედის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ედისონი (იმ დროისთვის უკვე აღიარებული იყო, როგორც საუკუნის გამომგონებელი) მის ნივთებს ათვალიერებდა და დღიურში წერილი იპოვა, რომელშიც ეწერა:

„თქვენი შვილი გონებრივად ჩამორჩენილია. ჩვენ არ შეგვიძლია ვასწავლოთ მას სხვებთან ერთად სკოლაში. ამიტომ გაძლევთ რეკომენდაციას, სახლში თავად ამეცადინოთ“.

ედისონი დიდხანს ტიროდა, შემდეგ კი საკუთარ დღიურში ჩაწერა: „თომას ალვა ედისონი იყო გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი. მაგრამ დედის წყალობით თავისი საუკუნის უდიდესი გენია გახდა“.

***newposts.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მალე უკანა ხედვის საავტომობილო სარკეები ისტორიას ჩაბარდება



კომპანია **BMW 2019** წლისთვის უკანა ხედვის გვერდითა სარკეების ვიდეოკამერებით შეცვლას აპირებს.

უფრო მეტიც, კომპანიის პერსპექტიული პროექტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ელმარ ფრიკენშტაინი აცხადებს, რომ მსგავსი სისტემა სერიულ ავტომობილებზე შეიძლება სამ წელიწადში გამოჩნდეს.

სავარაუდოდ, პირველი მოდელი, რომელიც სარკეების გარეშე დარჩება, მე-7 სერიის ახლანდელი **BMW** გახდება, რომლის გეგმური რესტაილინგი სწორედ 2019 წლისთვისაა ჩაფიქრებული.

უსაფრთხოების გაზრდის გარდა, გაუმჯობესებული აეროდინამიკის გამო საწვავის ხარჯის კლებაც შესამჩნევი იქნება.

მაგრამ სარკეების ვიდეოკამერებით შესაცვლელად ჯერ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაა საჭირო, რომლის მიხედვითაც მთელ რიგ ქვეყნებში ავტომობილის ექსპლუატაცია შესაბამის ადგილებში განთავსებული უკანა ხედვის სარკეების გარეშე აკრძალულია.

გასული თვის დასაწყისში **BMW**- ლას-ვეგასში გამოფენა **CES 2015**-ზე უკვე აჩვენა ჰიბრიდული სუპერქარი **i8**, რომელსაც უკანა ხედვის სარკეები არ ჰქონდა. კონცეპტმა **i8 Mirrorless**-მა ლამაზი წყვილი ვიდეოკამერა მიიღო, რომლებიც, გერმანელი ინჟინრების აზრით, ჩვეულებრივ სარკეებზე უფრო უკეთეს ხედვას განაპირობებს.

***alioni.info***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში ადამიანის ემბრიონის მოდიფიცირების ნება დართეს



ბრიტანეთის მთავრობამ მეცნიერებს ემბრიონის გენების შეცვლის უფლება მისცა. პროგრამა ფრენსის კრიკის ინსტიტუტის დოქტორმა, კეტი ნიაკანმა 2015 წელს წარადგინა და თანხმობაც მიიღო.

ექსპერიმენტები მხოლოდ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდება და დაახლოებით 2 კვირა გაგრძელდება. დაუშვებელია, რომ ემბრიონს ჩანასახის ფორმა ჰქონდეს. ცდების ჩასატარებლად ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დარჩენილ კვერცხუჯრედებსა და სპერმატოზოიდებს გამოიყენებენ. ხელოვნურად შექმნილი ემბრიონის ქალის ორგანიზმში მოთავსება აკრძალულია.

მეცნიერების საბოლოო მიზანი გენებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაა. ემბრიონის შეცვლით, ნაყოფის სიცოცხლის პირველივე დღეებში არსებული აქტიური გენების დადგენა სურთ. გენების ჩართვა და გამორთვა სპეციალური აპარატით იქნება შესაძლებელი.

როგორც აკადემიურ წრეებში ამბობენ, ემბრიონის გენის რედაქტირება საშიშია, რადგან ისი შეცვლილ დნმ-ს შემდეგ თაობას გადასცემს, რასაც მომავალში ზიანის მოიტანა შეუძლია. გარდა ამისა, გენის მოდიფიცირების სისტემა შესაძლოა იმათ ხელში მოხვდეს, ვინც ცუდი და არაადამიანური მიზნებისთვის გამოიყენებს.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 2025 წელი მარსზე გაფრენის წელი იქნება

მათ, ვისაც დედამიწა მოსწყინდათ და ახალ სამყაროზე ოცნებობენ, სულ მალე ოცნების ახდენის საშუალება ექნებათ. მარსზე გაფრენა უკვე 2015 წლისთვის იქნება შესაძლებელი.

ჰონკონგში გამართულ საინვესტიციო ფორუმზე ერთ-ერთმა ბიზნესმენმა განაცხადა, რომ 9 წელში მარსი უკვე ახდენილი ოცნება იქნება. მისივე თქმით, მოსამზადებლად ცხრა წელი სავსებით საკმარისია. კოსმოსური ხომალდის არქიტექტურული დეტალები კი, მექსიკაში, ასტრონავტიკის საერთაშორისო კონფერენციაზე გახდება ცნობილი.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## ლონდონიდან ნიუ-იორკამდე ერთ საათში — „აირბუსის“ ახალი გამოგონება ნამდვილ გარღვევად იქცა

თანამედროვეობის ყველაზე სწრაფ ტრანსპორტად თვითმფრინავი მიიჩნევა, თუმცა მისი სიჩქარე არ არის უსაზღვრო, რაც ძალიან ბევრი მგზავრისთვის დისკომფორტს ქმნის, განსაკუთრებით ტრანსკონტინენტური გადაფრენებისას.

დღესდღეობით ფრენის ყველაზე მოკლე დრო ნიუ-იორკიდან ლონდონამდე 8 საათია. „კონკორდი“ – ფრანგული ავიაციის ლეგენდა ამ დისტანციას 3 საათში ფარავდა., მაგრამ მისი ექსპლუატაცია გარკვეული მიზეზების გამო შეწყდა. კომპანია „აირბუსმა“, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო უნიკალურ პროექტებს ქმნის, 2015 წლის მიწურულს ახალი ტიპის თვითმფრინავი დააპატენტა, რომელსაც უნარი შესწევს, 4,5-ჯერ უფრო დიდი სიჩქარე განავითაროს, ვიდრე ბგერითი სიჩქარეა. ანუ ლონდონ-ნიუ-იორკის მონაკვეთი სულ რაღაც ერთ საათში დაფაროს.

ცნობილია, რომ ასეთი ფანტასტიკური სიჩქარის მიღწევისთვის ზებგერითი ლაინერის კონსტრუქციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება გაითვალისწინეს. მაგალითად, სუპერთვითმფრინავის საწვავად წყალბადს გამოიყენებენ, ხოლო ლაინერში სამი სხვადასხვა სახეობის ტურბორეაქტიული, საჰაერო რეაქტიული და სარაკეტო ძრავა იქნება.

***newpost.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ლიმონათში გაზავებული ბენზინი — თინეიჯერული ალკოჰოლი



გარდატეხის ასაკი ყველაზე რთული პერიოდია, როგორც მშობლებისთვის, ისე შვილებისთვის. ამ ასაკში ბავშვები სამყაროსა და საკუთარ თავს ეცნობიან და როგორც წესი, ყველაზე უარესის შესწავლით იწყებენ. კვლევის პირველი საფეხური აკრძალული ხილის დაგემოვნებაა. აკრძალულ ხილს შორის კი ყველაზე სასურველი და გემრიელი ალკოჰოლი და სხვადასხვა სახის მოსაწევია. ამ დროს მშობლები ცუდ მდგომარეობაში არიან – არ დაუშლი, ზღვარს ვერ ხვდებიან და ცუდ შედეგებამდე მიდიან, დაუშლი და იმ ცუდ შედეგებს უმოკლეს დროში და უსაშინლესი მეთოდებით იღებენ. ამჯერად ალკოჰოლის მოყვარულ თინეიჯერებზე მოგიყვებით, რომლებმაც თრობის საკუთარი მეთოდი შეიმუშავეს.

თურმე, უბრალო ლიმონათში მანქანის საწვავის გაზავებით მიღებულ სასმელს უფრო სწრაფი და მძიმე ეფექტი აქვს, ვიდრე ალკოჰოლს.

სტივენსონი და ბაირამა ტენესის შტატის ქალაქ გრინბრირში მცხოვრები 16 წლის მოზარდები იყვნენ და ვინაიდან არასრულწლოვნების გამო ალკოჰოლს არავინ მიჰყიდდათ, ფრიად უწყინარი სასმელი, ლიმონათი შეიძინეს, მანქანის საწვავი შეურიეს და მძაფრი ეფექტის მქონე ალკოჰოლიც გამოუვიდათ. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მოზარდებმა სასურველ შედეგს მიაღწიეს და დათვრნენ, მაგრამ სიტუაცია მეორე დილით გამწვავდა, როცა სტივენსონი მშობლებმა საწოლში გარდაცვლილი იპოვეს. რამდენიმე წუთში კი ბაირამს შეტევა ჰქონდა და სასწრაფოთი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა. სიკვდილამდე ბაირამმა პოლიციასა და მშობლებს მათი გამოგონილი ალკოჰოლის შესახებ მოუყვა და უთხრა, რომ მათ გარდა, კიდევ რამდენიმე მეგობარმა დალია.

სამედიცინო ცენტრის დირექტორი დონა სეგერი ამბობს, რომ კოქტეილი, როგორც ალკოჰოლი, ინტოქსიკაციას იწვევს და ადამიანი სხვადასხვანაირ ნეგატიურ შედეგამდე მიჰყავს, გულისრევიდან დაწყებული კომითა და სიკვდილით დამთავრებული.

პოლიციამ ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო და ცდილობს, იპოვოს დანარჩენი მოზარდები, რომლებმაც აღნიშნული კოქტეილი დალიეს.

„ჩვენ არავის დასჯას არ ვაპირებთ, მხოლოდ გვინდა, რომ თქვენი უსაფრთხოება უზრუნველვყოთ, რადგან შესაძლოა, თქვენი ჯანმრთელობა საფრთხის ქვეშ იყოს“, – უხსნიდა ქალაქის მცხოვრებლებს პოლიცია.

*etotupo.ru*

## ლიონელ მესი მურთაზას შეხვდება



5 წლის ავღანელი მურთაზა აჰმადი ლიონელ მესის ყველაზე პოპულარული ფანია. ბიჭუნა მისი სურათის გამოქვეყნების შემდეგ ცნობილი გახდა. ფოტოზე მურთაზას პოლიეთილენის პარკი ეცვა, ზედ კი ფლომასტერით მესი ეწერა.

მსოფლიო რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდა პატარა ბიჭუნას, რათა მისთვის მესის ნამდვილი და დამსახურებული მაისური ეჩუქებინა. თუმცა მოვლენები იმაზე უკეთ წარიმართა, ვიდრე ვინმე წარმოიდგენდა.

ავღანეთის ფეხბურთის ფედერაციის ინფორმაციით, მათ უკვე მიიღეს წერილი ლიონელ მესისგან, რომელიც ბიჭუნასთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამს. შეხვედრის დროსა და ადგილზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მურთაზას პოპულარობის შესახებ მისმა ოჯახმა მას შემდეგ შეიტყო, რაც ინტერნეტში გავრცელებულ სურათზე ბიძამ – აზიმ აჰმადმა ძმისშვილი ამოიცნო. მურთაზას მამის თქმით, მას არ ჰქონდა საშუალება, ბიჭუნასთვის მესის მაისური ეყიდა, ამის გამო მურთაზასთვის უფროსმა ძმამ პოლიეთილენის პარკისგან ფეხბურთელის მაისური შექმნა.

*goodnews.on.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## „ბიბისი“: სტალინი მაო ძედუნის განავალზე ლაბორატორიულ კვლევას ატარებდა



„ბიბისის“ ინფორმაციით, როგორც ყოფილი საბჭოთა აგენტი იგორ ატამანენკო აცხადებს, მან აღმოაჩინა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა დაზვერვა მაო ძედუნს აკვირდებოდა და ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, არც მეტი, არც ნაკლები, მის ექსკრემენტებზე ლაბორატორიულ კვლევას ატარებდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, სსრკ-ის დაზვერვამ 1940-იანი წლებიდან დაიწყო ადამიანების განავლის შეგროვება. მათი მიზანი უცხოეთის ლიდერების განავლების კვლევა იყო.

ატამანენკოს თქმით, პროექტს პირადად ლავრენტი ბერია კურირებდა.

„მაგალითად, თუ განავალში მჟავა ტრიპტოფანის მაღალი კონცენტრაცია იყო, ისინი ასკვნიდნენ, რომ ადამიანი მშვიდი იყო“, – აცხადებს ყოფილი აგენტი. მისივე თქმით, კალიუმის ნაკლებობა ნერვულ და ინსომნიით შეწუხებულ ადამიანებს ახასიათებთ.

ატამანენკო ასევე წერს, რომ 1949 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირს ჩინეთის ლიდერი მაო ძედუნი სტუმრობდა. მოსკოვში, მის სასტუმროში სპეციალური ტუალეტები დააყენეს, რომელიც არა კანალიზაციას, არამედ საიდუმლო ყუთებს უკავშირდებოდა.

10 დღის განმავლობაში მაო ძედუნს ბევრი აჭამეს და შემდეგ მის განავალს გულმოდგინედ აკვირდებოდნენ. მას შემდეგ, რაც ანალიზი დაასრულეს, მიღებული შედეგების საფუძველზე, სტალინმა მაო ძედუნთან შეთანხმების გაფორმებაზე უარი განაცხადა.

*news.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მარკ ცუკერბერგი ერთ დღეში 6 მილიარდი დოლარით გამდიდრდა



ცუკერბერგმა მაშინ, როდესაც „ფეისბუკზე“ ქალიშვილის სურათების გავრცელებით იყო დაკავებული, ერთ დღეში 6,2 მილიარდი დოლარი სახლიდან გაუსვლელად იშოვა და მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 2 პუნქტით აიწია.

ასეთი მოგება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, სოციალური ქსელების აქციების ფასის ზრდამ გამოიწვია.

**Facebook**-მა 2015 წლის ფინანსური ანგარიში წარადგინა და ცუკერბერგის ქონება 47,6 მილიარდ დოლარად შეფასდა. ჰოდა, მსოფლიოში მე-6 მდიდარი ადამიანის ტიტულიც დაიმსახურა. რეიტინგში ცუკერბერგმა კომპანია **Koch Industries**-ის დამფუძნებლები – ძმები კოხები ჩამოიტოვა და მე-7 ადგილამდე დააქვეითა.

ამჟამად, მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების ხუთეული ამგვარია: **Microsoft**-ის დამფუძნებელი ბილ გეითსი, **Inditex**-ის ხელმძღვანელი ამანსიო ორტეგა, ინვესტორი უორენ ბაფეტი, **Amazon**-ის მმართველი ჯეფ ბეზოსი და ტელესაკომუნიკაციო მაგნატი კარლოს სლიმი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელი სტუდენტი „ნესტლესგან“ სიცოცხლის ბოლომდე შოკოლადის მიწოდებას ითხოვს



ბრიტანელი სტუდენტი საიმა ახმადი კომპანია „ნესტლეს“ სიცოცხლის ბოლომდე შოკოლადით უზრუნველყოფას სთხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში იურიდიული ზომების მიღებით ემუქრება.

თურმე, რა მოხდა, საიმას ძალიან ჰყვარებია „ნესტლეს“ ნაწარმი, განსაკუთრებით შოკოლადი „კიტკეტი“. ჰოდა, თავისი სიყვარულის გამოსახატავად ადგა და 2,8 ათასი დოლარის შოკოლადი შეიძინა, მაგრამ თურმე ბედი მუხთალი, თუ უყურადღებო კომპანია გოგონას მწარედ დასცინოდა – არც ერთ შოკოლადში ვაფლი არ აღმოჩნდა. არადა „კიტკეტის“ რეკლამა სწორედ უნიკალურ ვაფლს უსვამს ხაზს. საიმამ ძალიან ნაწყენი ვარო, არ ვიცი, ოდესმე თუ გადამივლის და არ ვიცი, „კიტკეტისადმი“ დაკარგულ რწმენას რამე თუ აღმიდგენსო.

ამიტომ, „ნესტლეს“ კომპანიას წერილი გაუგზავნა, სადაც იმედს გამოთქვამდა, რომ გაცრუებული მოლოდინის გამო ბოდიშს მოუხდიდნენ და სიცოცხლის ბოლომდე შოკოლადით მოამარაგებდნენ. სტუდენტი იმასაც ამბობს, ეს უფასო შოკოლადი ჩემთვის კი არ მინდა, უბრალოდ, თქვენივე ხარისხის კონტროლისთვის მჭირდება, რომ ასეთი რამ აღარ მოგივიდეთო...

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## „იმ ქვეყნის ნაკრებში, რომლის პრეზიდენტიც პუტინია, არ ვითამაშებ“



ავსტრალიის ღია პირველობაზე მარცხის შემდეგ, რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ სკანდალური განცხადება გააკეთა.

„მე არ ვითამაშებ იმ ქვეყნის ნაკრებში, რომლის პრეზიდენტიც პუტინია“, – განაცხადა ჩოგბურთელმა.

ეს ინფორმაცია რუსულმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა, რის შემდეგაც, რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა შამილ ტარპიშევმა, სპორტსმენს ულტიმატუმი წაუყენა.

მისი განცხადებით, თუ შარაპოვა ნაკრებს დატოვებს, მაშინ ის ოლიმპიადაზეც ვერ იასპარეზებს.

*pia.ge*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე 593 19-85-99**



საღამოხანს ქმარმა ბუფეტი გამოაღო, ვისკი გადმოდგა და დალევისთვის მოემზადა. ცოლმა მაშინვე დაუცაცხანა:

– იცოდე, წვეთიც რომ დალიო, სექსზე არც იოცნებო!

დაჯდა ქმარი და ფიქრობს.

ცოლი:

– რაზე ფიქრობ?

– რაზე და იმაზე, რომელი ჯობია – 12 წლის ვისკი თუ 50 წლის საჯდომი?..

*****

ძილისწინ მამა შვილს ზღაპარს უყვება:

– „როცა პრინცმა წვეულებაზე კონკია დაინახა, მას თვალი ვერაფრით მოსწყვიტა“...

– მამიკო და რაში სჭირდებოდა პრინცს კონკიას თვალი?..

*****



ერთი ბომჟი მეორეს ეკითხება:

– როგორ ფიქრობ, თმები შევიჭრა?

– რად გინდა, კაცო, შარშან არ შეიჭერი?

– ოოო, სულ ურევ რაღაცებს – შარშან ვიბანავე...

*****

– ექიმო, ფეხი მოვიტეხე ორ ადგილას.

– და დაიმახსოვრეთ ეს ადგილები?

– კი...

– ჰოდა, მეორედ იქ აღარასოდეს მიხვიდეთ!..

*****

– რა განსხვავებაა ქალსა და კოლოს შორის?

– კოლო მხოლოდ ზაფხულობით გაწუხებს!..

*****

სოციალურ ქსელში:

– რატომ წამშალე მეგობრებიდან?

– იმიტომ, რომ ნერვებს მიშლი!

– და შენი ქმარი რომ ვარ, არა უშავს?!

*****



– როცა საზოგადოებრივ ტუალეტში შედიხარ, ყველაზე მეტად რისი გეშინია?

– ჩასუნთქვის!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მხარე დას. საქართ.
2. თვითმფრინავების სადგომი
3. ქალაქი საფრანგეთში
4. კუნძული ატლანტის ოკეანეში
5. რძისა და ცხიმის ნარევი
6. საველე საავადმყოფო
7. მსახიობი ... პეკი
8. მეფე ძველ ეგვიპტეში
9. ქვეყნიერების დასასრული
10. გასასვლელი მდინარეზე
11. სასიმინდე
12. ბანდის მეთაური
13. ყანწის მასალა
14. ...-დე-ჟანეირო
15. რუსული ფულის ერთეული
16. ქალაქი ესპანეთში
17. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
18. ორგანული ნივთიერება
19. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
20. მხ/ფ „ქეთო და ...“
21. ზამთრის თვე
22. ამოსახველებელი სითხე
23. მსახიობი ... ნიუმენი
24. ქალაქი გერმანიაში
25. აქ ხდება ფსონზე დადება
26. მითი ოქროს საწმისზე
27. ლურჯი ვეშაპის საკვები
28. უპირველესი საქმე
29. რეჟისორი პედრო ...
30. მსახიობი ... ჟირარდო
31. ალტერაციის ნიშნები მუსიკაში ბემოლი, ბეკარი და ...
32. რამდენი ცალია დუჟინი
33. წერილი (მოძვ.)
34. კონფერენცია, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება
35. რეჟისორი ... პოლანსკი
36. მისი დედაქალაქია ჰელსინკი
37. ძვირფასი მინერალი
38. რეჟისორი ... ჰოვარდი
39. ქალაქი რუსეთში
40. მსახიობი ... დიკაპრიო
41. წვიმისგან დამცავი აქსესუარი
42. მდინარე კახეთში
43. მიუნჰაუზენის ავტორი
44. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
45. მწვავე ტონზილიტი
46. ხერხემლის ძვალი
47. კალმანის ოპერეტა
48. ქალაქი აშშ-ში
49. ოტელოს ეროვნება
50. ფედერიკო ფელინის ფილმი
51. ... ფიროსმანაშვილი
52. სისხლძარღვი
53. მხ/ფ „... და გიტა“
54. მსახიობი ... რაიანი
55. მეგაკონტინენტი
56. მსახიობი ... დიტრიხი
57. პრეზიდენტი ... ნაზარბაევი
58. დასარტყამი საკრავი
59. მეტყველების ორგანო
60. პრეზიდენტის ფიცი
61. მსახიობი მონიკა ...
62. მსახიობი ... მონრო
63. სასულე კლავიშებ. ინსტრუმენტი
64. გამის ნოტი
65. ჩილეში: ავგუსტო ...
66. მევიოლინე ... პაგანინი
67. სოფელი გარდაბნის რაიონში
68. მომღერალი ფილიპ ...
69. კანის ინფექც. დაავადება
70. ვირას საპირისპირო ბრძანება
71. რეჟისორი ... პარკერი
72. სახელმწ. ... და ტობაგო
73. ... ფიტცჯერალდი
74. აკვნის დეტალები
75. ტექსტში სიტყვების გამეორება
76. პოეტი მიხეილ ...
77. მსახიობი ... ბანიონისი
78. ილია ჭავჭავაძის ლექსი
79. მზის ღმერთი ეგვიპტეში
80. მწერალი ჰერბერტ ...
81. მთა კრატერით
82. ტოკიოს ძველი სახელწ.
83. ჩრდილოეთის ირემი
84. კაკაბაძე. „... ბიგვა“
85. 1000 მილილიტრი
86. მწნილი
87. ჩვენი პლანეტა
88. ძვ. თბილისური მიმართვა
89. მსახიობი ქეით ...
90. ჟურნალისტი ... ჟორჟოლიანი
91. მსახიობი ფილიპ ...
92. სოფელი ახმეტის რაიონში
93. ჯუჯა კამეჩი
94. ფიზიკაში: ... სიცარიელე
95. ზღაპრული კაციჭამია
96. უკრაინის პარლამენტი
97. მოუხარშავი
98. ანტიკური ქალაქი სახელმწიფო ჩრდ. აფრიკის ტერიტორიაზე
99. მსახიობი ... არტმანე
99ა. ჩეხოვი. „... ვანია“
100. საჭმელად ვარგისი სოკო
101. მდინარე ჩინეთში
102. ..., დი, ტრი, ტეტრა
103. მსახიობი ... ფერაძე
104. ფრანგული ლვინო
105. მწერალი მაქსიმ ...
106. ნახტომი ...-მორტალე
107. მომღერალი ... რამაზოტი
108. სოფლად ყანაში მეზობლების დახმარება
109. მხ/ფ „... მეზურნეები“
110. ფეთქებადი ნივთიერება
111. ებრაული რიტუალ. ხმიადი
112. ... ერთობაშია
113. „... პიტკინი საავადმყოფოში“
114. ერთი ასაკის ადამიანები
115. ... გათეთრდების ყორანი
116. ახალი ... კარგად გვის
117. მხ/ფ „ლოუ-რენს ...“
118. რეჟისორი ფრენსის ფორდ ...
119. სასროლეთი
120. თეთრი მინერალი სკოლაში
121. შხამიანი გველი
122. კავშირი, გაერთიანება
123. თვითნასწავლი მხატვრობა
124. ყოველივე უცხოს სიძულვილი
125. რეპტილია
126. გიორგი სააკაძის სოფელი
127. ამერიკელების მეტსახელი მექსიკაში
128. პოეტი იოსებ ...
129. დედა ნახე, მამა ნახე, ... ისე გამონახე
130. მოდელი ... კასტა
131. ინგლისის პოლიცია სკოტლენდ-...
132. ნორვეგიის დედაქალაქი
133. მსახიობი ჯენიფერ ...
134. გეომეტრიული ფიგურა
135. არასასურველი პიროვნება, ანუ პერსონა ... გრატა
136. სერიალი „... ქალაქში“
137. საკუთარი თვის გადალება
138. ყვავილი
139. კავშირებითი სიტყვა
140. ნილოსის დუმფარა
141. სიტყვის ნაწილი. ნიშნავს ცხოველურს
142. ... მოგივა დავითაო
143. მსახიობი ... გომესი
144. გამის ნოტი
145. დიდი საჯარისო შენაერთი

პასუხები: 1. სამეგრელო; 2. ანგარი; 3. გრენობლი; 4. გრენლანდია; 5. ემულსია; 6. ლაზარეთი; 7. გრეგორი; 8. ფარაონი; 10. ფონი; 11. ნალია; 12. ატამანი; 13. რქა; 14. რიო; 15. რუბლი; 16. სარაგოსა; 17. ოლია; 18. ანილინი; 19. ოთარაანთ; 20. კოტე; 21. თებერვალი; 22. ალთე; 23. პოლ; 24. ნიურნბერგი; 25. ტოტალიზატორი; 26. „არგონავტები“; 27. პლანქტონი; 28. პრიორიტეტი; 29. ალმოდოვარი; 30. ანი; 31. დიეზი; 32. თორმეტი; 33. უსტარი; 34. ბიენალე; 35. რომან; 36. ფინეთი; 37. ონიქსი; 38. რონ; 39. არხანგელსკი; 40. ლეონარდო; 41. ქოლგა; 42. ალაზანი; 43. რასპე; 44. სერ; 45. ანგინა; 46. მალა; 47. „სილვა“; 48. ბალტიმორი; 49. მავრი; 50. „რვანახევარი“; 51. ნიკო; 52. ვენა; 53. ზიტა; 54. მეგ; 55. ევრაზია; 56. მარლენ; 57. ნურსულთან; 58. დაირა; 59. ენა; 60. ინაუგურაცია; 61. ვიტი; 62. მერილინ; 63. ორგანი; 64. ლა; 65; პინოჩეტი; 66. ნიკოლო; 67. ნორიო; 68. კირკოროვი; 69. მუნი; 70. მაინა; 71. ალან; 72. ტრინიდადი; 73. ელა; 74. არტახები; 75. ტავტოლოგია; 76. ლერმონტოვი; 77. დონატას; 78. ელეგია; 79. რა; 80. უელსი; 81. ვულკანი; 82. ედო; 83. მარალი; 84. გვადი; 85. ლიტრი; 86. მარინადი; 87. დედამიწა; 88. ტო; 89. უინსლეტი; 90. ნანუკა; 91. ნუარე; 92. ომალო; 93. ანოა; 94. ტორიჩელის; 95. ოგრი; 96. რადა; 97. უმი; 98. კართაგენი; 99. ვია; 99ა. ძია; 100. მიქლიო; 101. იანძი; 102. მონო; 103. გია; 104. „ბურბონი“; 105. გორკი; 106. სალტო; 107. ეროს; 108. ნადი; 109. ბებერი; 110. ტროტილი; 111. მაცა; 112. ძალა; 113. მისტერ; 114. თაობა; 115. არ; 116. ცოცხი; 117. არაბი; 118. კოპოლა; 119. ტირი; 120. ცარცი; 121. კობრა; 122. უნია; 123. ნაივი; 124. ქსენოფობია; 125. კუ; 126. ნოსტე; 127. გრინგო; 128. ნონეშვილი; 129. შვილი; 130. ლეტიცია; 131. იარდი; 132. ოსლო; 133. ტილი; 134. რომბი; 135. ნონ; 136. შუა; 138. ია; 139. რომ; 140. ლოტოსი; 141. ზოო; 142. რაც; 143. სელენა; 144. ფა; 145. არმია. იკითხება: მზესუმზირა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ... დე ბერჟერაკი
2. ამ ქვეყანაზე გადის არხი
3. კურორტი სოჭის რაიონში
4. იტალიური ღვეზელი
5. ის, ვინც მუსიკებს წერს
6. ამერიკული სატელევიზიო „ოსკარი“
7. ინდიელის ფეხსაცმელი
8. კუბის ფორმის ოქროს ნაჭერი
9. მისი დედაქალაქია ვარშავა
10. სურდო
11. პიერ რიშარის კინოგმირი
12. ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული
13. მსახიობი მიკი ...
14. მომღერალი ვალერი ...
15. ქართული ღვინო
16. „იმერული ესკიზები“ მათხოვარი
17. ხის ტოტი
18. რუსი მხატვარი კარლ ...
19. რაიმე სიდიდე, განზომილება
20. ტრამვაის მძღოლი
21. სასტრადო სიმებიანი საკრავი
22. კოლუმბიის დედაქალაქი
23. ცურვის სტილი
24. კიანუ რივზი ფილმში
25. პიონერთა საერთაშორისო ბანაკი
26. 90გრადუსიანი კუთხე
27. შტატი აშშ-ში
28. ყურძნის ჯიში
29. მწერალი ალბერტო ...
30. ძვლების დაავადება
31. რიგითი ნომრების მინიჭება
32. ნაცია
33. მსახიობი პოლ ...
34. მსახიობი ... ლიოტა
35. მოუხარშავი
36. გამის ნოტი
37. კომპიუტერიდან ამოსაბეჭდი ხელსაწყო
38. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
39. კვიპროსის დედაქალაქი
40. ცხარე სანელებელი
41. ზღვის უბე სკანდინავიაში
42. სპორტის სახეობა
43. ზამთრის თვე
44. ლასო
45. ჰოკეის სათამაშო ბურთი
46. მწერი სამზარეულოში
47. მწერალი ედგარ ალან ...
48. მსახიობი ჰელენ ...
49. თევზის სახეობა
50. მზის სისტემის პლანეტა
51. ადამიანშებმული ეტლი
52. გრძლად შემწვარი ლაკვებილი ხორცი
53. მწერალი ... როდარი
54. ტომრის ფორმის საფულე
55. ქალაქი წყალზე იტალიაში
56. მოგზაური, რომლის სახელიც უწოდეს მის მიერ აღმოჩენილ ცხენს
57. მწვანე ადგილი უდაბნოში
58. კონტინენტი
59. მხ/ფ „... მამა“
60. ატრაქციონი პარკში
61. სანოვაგე
62. ელასტიური ქსოვილი
63. „სანამ ... გადაბრუნდება“
64. დინამიტის გამომგონებელი
65. ნაჭუჭიანი ნაყოფი
66. მეტყველების ორგანო
67. მერიმე. „... ფალკონე“
68. ... გოგებაშვილი
69. მსახ. ... ჯიგარხანიანი
70. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
71. რას აშენებს თახვი მდინარეზე
72. მსახ. ... ნიკულინი
73. კარტოფილის კერძი
74. ტანსაცმლის დეტალი
75. ბროში ადამიანის პროფილით
76. იაპონური არაყი
77. მსახიობი ... ფერერი
78. კანის ინფექც. დაავადება
79. რიყის ქვა
80. იაპონური მინიატურ. სკულპტურა
81. მხ/ფ „... რუჟი“
82. სოფელი საგარეჯოს რაიონში
83. ორი სითხის ნარევი
84. მექსიკის დედაქალაქი
85. ყველაზე მაღალი ბალახი
86. მწერალი ალბერ ...
87. მსახიობი კამერონ ...
88. იაპონური თაიგული
89. სრუტე ხმელთაშუა ზღვაზე
90. მექსიკური ქუდი
91. უუფლებო ადამიანი
92. მსახიობი ... ჰაიეკი
93. პარკოსანი მცენარე
94. იაპონური ფულის ერთეული
95. მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
96. სამიანი ნარდში
97. მინა. აისახება გამოსახულება
98. ტროპიკული ბუჩქი
99. ნახატი-შარჟი
100. მსახიობი ჯესიკა ...
101. მსახიობი ... სპეისეკი
102. დრაიზერი. „ამერიკული ...“
103. უკრაინის პარლამენტი
104. დოსტოევსკის რომანი
105. ცხოველთა სამყარო
106. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
107. მწვანე მინერალი
108. სხვადასხვა ამბების ნაკრები
109. თევზი ელექტრული მუხტით
110. ჭრილობა
111. თამბაქოს მოსაწევი ჭურჭელი
112. მსახიობი ორლანდო ...
113. ენერგიის ერთეული
114. ქალაქი ქვემო ქართლში
115. ცნობილი მსახიობის პატარა როლი
116. მსახ. ... სილვერსტოუნი
117. აორტის ანთება
118. კუთხის საზომი ერთეული
119. სირაქლემას სახეობა
120. რუსული რევოლუც. გაზეთი
121. ბოსტნეული
122. მას ეშინია ჭიაკოკონის
123. მომღერალი ... კარაკლაიიი
124. ზღვა შუა აზიაში, რომელიც შრება
125. ბევრ ზეთში შემწვარი კარტოფილი
126. ვალუტა
127. ბრაზილიური ცეკვა
128. მსახიობი ... ნილი
129. რთული მოსახვევი
130. მსახიობი მეთიუ ...
131. ..., ნაფნაფი და ნუფნუფი
132. ჟან-კლოდ ... დამი
133. მოგზაურობა გემით ქვეყნებში
134. მზის ღმერთი ეგვიპტეში
135. ბერძ. ანბანის პირველი ასო
136. გამის ნოტი
137. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
138. ...-ანჯელესი
139. პოეტი ... კალანდაძე
140. მსახიობი ... გრიფიტი
141. კომპოზიტორი ნინო ...
142. დიუჟარდენი „ოსკაროსან“ ფილმში
143. პატარა ტანის ძაღლი
144. მთათა სისტემა ...-შანი



პასუხები: 1. სირანო; 2. პანამა; 3. ადლერი; 4. პიცა; 5. კომპოზიტორი; 6. „ემი“; 7. მოკასინი; 8. ზოდი; 9. პოლონეთი; 10. რინიტი; 11. პინიონი; 12. წინანდალი; 13. რურკი; 14. ლეონტიევი; 15. „ბადაგონი“; 16. ოლია; 17. რტო; 18. ბრიულოვი; 19. პარამეტრი; 20. ვატმანი; 21. კონტრაბასი; 22. ბოგოტა; 23. კროლი; 24. „მატრიცა“; 25. „არტეკი“; 26. მართი; 27. არკანზასი; 28. პინო; 29. მორავია; 30. რაქიტი; 31. ნუმერაცია; 32. ერი; 33. ნიუმენი; 34. რეი; 35. უმი; 36. მი; 37. პრინტერი; 38. არისტოტელე; 39. ნიქოზია; 40. წიწაკა; 41. ფიორდი; 42. ფრენბურთი; 43. დეკემბერი; 44. ქამანდი; 45. შაიბა; 46. ტარაკანი; 47. პო; 48. მირენი; 49. ქარიყლაპია; 50. ვენერა; 51. რიქშა; 52. ქაბაბი; 53. ჯანი; 54. ქისა; 55. ვენეცია; 56. პრჟევალსკი; 57. ოაზისი; 58. აზია; 59. ჯარისკაცის; 60. კარუსელი; 61. ხორაგი; 62. ლიკრა; 63. ურემი; 64. ნობელი; 65. თხილი; 66. ენა; 67. მატეო; 68. იაკობ; 69. არმენ; 70. მენუეტი; 71. კაშხალი; 72. იური; 73. პიურე; 74. ჯიბე; 75. კამეა; 76. საკე; 77. მელ; 78. ქეცი; 79. ქვა; 80. ნეცკე; 81. მულენ; 82. მანავი; 83. ემულსია; 84. მეხიკო; 85. ბამბუკი; 86. კამიუ; 87. დიასი; 88. იკებანა; 89. გიბრალტარი; 90. სომბრერო; 91. მონა; 92. სალმა; 93. ლობიო; 94. იენა; 95. ნოდარი; 95. სე; 97. სარკე; 98. ცეცე; 99. კარიკატურა; 100. ალბა; 101. სისი; 102. ტრაგედია; 103. რადა; 104. „იდიოტი“; 105. ფაუნა; 106. ყიფლიბანდი; 107. მალაქიტი; 108. კოლაჟი; 109. სკატი; 110. იარა; 111. ნარგილე; 112. ბლუმი; 113. ერგი; 114. ბოლნისი; 115. კამეო; 116. ალისია; 117. აორტიტი; 118. გრადუსი; 119. ნანდუ; 120. „ისკრა“; 121. ბოლოკი; 122. ჭინკა; 123. რადმილა; 124. არალი; 125. ფრი; 126. ფული;127. „სამბა“; 128. სემ; 129. ვირაჟი; 130. პერი; 131. ნიფნიფი; 132. ვან; 133. კრუიზი; 134. რა; 135. ალფა; 136. ფა; 137. მისისიპი; 138. ლოს; 139. ანა; 140. მელანი; 141. როტა; 142. „არტისტი“; 143. ფინია; 144. ტიან. იკითხება: ჯენიფერ ლოპესი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას



კლუბი „მერწყული“ თანადგომას უცხადებს კლუბის ვიცე-პრეზიდენტს კობა კვეტენაძეს ძმისშვილის, პატარა **ზუკა კვეტენაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ავტოპილოტის გამო, პილოტებს თვითმფრინავების მართვა დაავიწყდათო



„ჭიჭიკია, პრიბორი“, „20“ „რაის ოცი?“ „აბა, რაის პრიბორი, შე შობელძაღლო?!“..

აი, დაახლოებით ასეთ სიტუაციაში ყოფილან თანამედროვე პილოტები, რომლებსაც ასობით და ათასობით ადამიანის სიცოცხლე აბარიათ რეისების შესრულებისას.

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლების მტკიცებით, მართვის სრულად ავტომატიზებული სისტემების გამო, პილოტებს თვითმფრინავების ხელით მართვა ავიწყდებათ.

აღნიშნულ ორგანიზაციაში იმასაც ამბობენ, რომ არცთუ იშვიათად პილოტებმა არ იციან, როგორ უნდა მოიქცნენ რთულ სიტუაციებში.

– უკანასკნელი 5 წლის მანძილზე პილოტების უცოდინრობამ ასეულობით ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, – ვკითხულობთ ასოციაციის დასკვნაში.

რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, საქმე ისაა, რომ განა თავად პილოტებს ეზარებათ ან არ უნდათ, ხომალდები ხელით მართონ, ბევრი ავიაკომპანია, უბრალოდ, მათ უკრძალავს ავტოპილოტის გათიშვას.

სწორედ ამიტომ, მცირე ხარვეზი ან ავტომატური სისტემის მწყობრიდან გამოსვლა პილოტებს აბნევს, რაც ხშირად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება.

*km.ru*

## მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკა სისხლს აუმჯობესებს



ზოგადად, მუსიკა რომ დადებითად მოქმედებს ადამიანზე, ეს ფაქტი დიდი ხანია ცნობილია და სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგების შესახებ ჩვენც მოგვიყოლია.

ამ შემთხვევაში სიახლის ავტორები ბრიტანელი მეცნიერები არიან, რომლებმაც სულ ახლახან დაამტკიცეს, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენით, ადამიანს სისხლის შემადგენლობის გაუმჯობესება შეუძლია. და საერთოდაც, საყვარელი კომპოზიციების მოსმენა უდიდეს დადებით გავლენას ახდენს სისხლძარღვთა მთელ სისტემაზე.



კვლევის ფარგლებში მეცნიერები რამდენიმე ასეულ ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ, რომელთა მინიმალური ასაკი 36 წელი გახლდათ.

აღმოჩნდა, რომ საყვარელი მუსიკის მოსმენისას, სისხლძარღვები 26 პროცენტით ფართოვდებოდა. ასევე, ხდებოდა სისხლში აზოტის მჟავის კონცენტრაციის გაზრდა.

სპეციალისტების განმარტებით, სწორედ აღნიშნულ ნივთიერებას შეუძლია თრომბების გაჩენის რისკის შემცირება, ქოლესტერინის დონის კონტროლი და ასე შემდეგ.

*flitnews.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**4 თებერვალი:** თუ მოინდომებთ, შეუძლებელსაც კი შეძლებთ. მთავარია, მიზანი სწორად შეარჩიოთ და აუჩქარებლად იმოქმედოთ.

**კურო 22.04-21.05**
**4 თებერვალი:** კარგი განწყობა გარანტირებული გექნებათ. დიდი ალბათობით, ძალიან მხიარული დღე იქნება. შეეცადეთ, უნებლიეთ არავის აწყენინოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**4 თებერვალი:** თითქმის ყველა დაგეგმილ საქმეს გაართმევთ თავს. კარგი იქნება, თუკი ზედმეტ ტვირთს არ წამოიკიდებთ. შედეგი არ დაგაკმაყოფილებთ, დროს კი ტყუილად დახარჯავთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**4 თებერვალი:** ძალიან დიდი სიფრთხილე გმართებთ. უნებლიეთ შეიძლება ძალიან ახლობელ ადამიანს აწყენინოთ. გაუაზრებლად არაფერი თქვათ.

**ლომი 23.07-22.08**
**4 თებერვალი:** ყურადღება მიაქციეთ გარშემომყოფთა მოქმედებებს. შესაძლოა, რომელიმე მათგანს თქვენი დაუყოვნებლივი დახმარება დასჭირდეს.

**ქალწული 23.08-22.09**
**4 თებერვალი:** თუ დღეს რამე უცნაური შენიშნეთ, არ შეშინდეთ, ჭკუიდან არ გადასულხართ. უბრალოდ, თქვენ დაინახავთ იმას, რაც სხვათათვის შეუმჩნეველია.

**სასწორი 23.09-22.10**
**4 თებერვალი:** ცდუნებას უნდა გაუძლოთ და პირად საიდუმლოზე სიტყვაც კი არ წამოგცდეთ. სინანული გვიანი იქნება და სიტუაციას ველარ გამოასწორებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**4 თებერვალი:** როგორი კეთილი განზრახვაც არ უნდა გქონდეთ, სხვის საქმეში არავითარ შემთხვევაში არ ჩაერიოთ. კეთილგანწყობას არავინ დაგიფასებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**4 თებერვალი:** მუდმივი ცაიტნოტის სიტუაცია იშვიათობა არაა, მთავარია, გამოსავალი დროულად მოძებნოთ და დასვენებაზე უარი თქვათ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**4 თებერვალი:** თქვენმა ჩანაფიქრმა და ქმედებებმა შეიძლება მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვოს, თუმცა შედეგი დაგაკმაყოფილებთ. სიურპრიზებისთვის მოემზადეთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**4 თებერვალი:** შესაძლოა, რეალობას მოსწყდეთ. ერთი მხრივ, ეს ამოსუნთქვის საშუალებას მოგცემთ, მეორე მხრივ კი, გადაწყვეტილებების მიღებაში ხელს შეგიშლით.

**თევზები 19.02-20.03**
**4 თებერვალი:** ძალიან ყურადღებიანი მსმენელი უნდა იყოთ. თუმცა, მოსმენაც არ იქნება საკმარისი, ბევრ რამეს ინტონაციით და მიმიკით უნდა მიხვდეთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)

## სამსახურში მისვლის ყველაზე მავნე საშუალება... ავტომობილი?



სიმართლე გითხრათ, ძალიან გაგვიკვირდა, რატომ უნდა იყოს ავტომობილით სამსახურში მისვლა ჯანმრთელობისთვის საზიანო? აბა, ყვითელი „მარშრუტკები“ ჯობია, რომლებიც კვლავაც გადაჭედილია ხოლმე და თუ დაჯდომა გეღირსა, ვიღაცის საჯდომის ყურება ნამდვილად არ აგცდება?!

შვედი მეცნიერები შეეცადნენ, დაედგინათ, სამსახურში მისვლის რომელი საშუალება როგორ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, შრომისუნარიანობასა და პირად ცხოვრებაზე.

ფეხით და ველოსიპედით სიარული გასაგები მიზეზების გამო, ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდა, მაგრამ რომელი ტრანსპორტია უფრო მავნე?

კვლევაში 18-დან 65 წლის ასაკამდე დაახლოებით 21 ათასი ადამიანი იყო ჩართული, რომლებიც კვირაში 30 საათზე მეტხანს მუშაობენ.

აღმოჩნდა, რომ, თუკი არჩევანი საზოგადოებრივ და პირად ტრანსპორტზე მიდგება, პირველი გაცილებით ნაკლებად საზიანოა, რადგან იმდენად დიდ დაძაბულობასა და სტრესს არ იწვევს.

საერთო ჯამში, ადამიანებს, რომლებიც საზოგადოებრივ ტრანსპორტს საკუთარ ავტომობილს არჩევენ, გაცილებით ცუდად სძინავთ, უფრო ადვილად იღლებიან და ღიზიანდებიან.

*bienhealth.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



კოტეს ქუჩაში ძმაკაცი შეხვდა:

– რამ დაგამწუხრა ასე, კოტეს შემოვევლე?

– საშინელი სიზმარი ვნახე, კაცო, ნამდვილი კოშმარი – ვითომ, ანჯელინა ჯოლი, მონიკა ბელუჩი, კამერონ დიასი და ჩემი ცოლი როზა ჩემ გამო ჩხუბობდნენ, დაასისხლიანეს ერთმანეთი...

– და რატომ არის ეგ კოშმარი?

– როზამ გაიმარჯვა!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
» 211359457
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.22